# პიესები

ზურაბ სამადაშვილი

## კარს იქით

### ორმოქმედებიანი დრამა

მოქმედი პირნი:

1. გიგა (უფროსი) -- ორმოც წლამდე ასაკის კაცი
2. გიგა (უმცროსი) -- მე-9, მე-10 კლასის მოსწავლე
3. რეზი
4. ნოდარი -- გიგას თანაკლასელები
5. ჯორბენა
6. ნაცა -- გიგას ბავშვობის მეგობარი
7. ხათუნა -- ჯორბენას ნაცნობი გოგონები
8. ნანა
9. მიხაილოვიჩი -- თანამედროვეობის პირები საქართველოდან
10. პეტროვიჩი
11. ოფიციანტი
12. რეზის მძღოლი
13. მოსწავლე გოგონები და ბიჭები

### პროლოგი

გიგას ბინა. ნასვამი და ჩხუბისაგან აღგზნებული გიგა ბოლთას სცემს. მცირე ხნის შემდეგ რეკავს ტელეფონი.

გიგა -- ალო!
რეზი -- გიგა, რეზი ვარ! ხომ გაიქეცი, ეგრე შეიძლება?!
გიგა -- მიდი რა, შე ავარია! თუ მაგისი ძმაკაცი ხარ, მაგასთან იყავი!
რეზი -- როგორც გატყობ, ღადაობის გუნებაზე ხარ, ვერ ხვდები, რა ცუდი რამე მოხდა!
გიგა -- ცუდი ჯერ არ მომხდარა! მე იქავე გავაგებინებდი, რაც არის ცუდი! ეგ ჯერ შესავალი იყო!
რეზი -- გიგა, თუ ძმა ხარ, დაწყნარდი!

გიგა — რა დამაწყნარებს თქვენისთანა დამპლების ხელში!
რეზო — (აწყვეტინებს). ნამეტანი ნუ „აგულავდი"! ერთი წუთით მეც მომასმინე!
გიგა — მოგისმენთ, თორე!..
რეზო — ერთადერთი ვარიანტია, ბოლოში უნდა მოუხადო!
გიგა — (ჩაურთავს). რაა?!
რეზო — არა მგონია, გიშველოს, მაგრამ მიდი აწლავე და ბოლოში მოუხადე! სარდალში მიდი, ხომ არ მოგკლავს! უთხარი, ნასვამი ვიყავი-თქო, ნერვებს აჰყევი, ეშმაკმა დამძლია. გამწარებული ვიყავი, ცოლშვილს ნუ დამიღუპავთ, გაიძახე! იქნებ გაპატიოს!
გიგა — აქეთ მეუქრები კიდეც?! ბოლოდროინდელი გამაგებინეთ საქმოსნები ხართ თუ ძველი ბიჭები! თუ მაგენი ხართ, სისხლში მეგულებათ ორივეს! დღესვე მინისტრის „გალსტუკს" დაგამგვანებთ!
რეზო — საქმეს სჭირდება ასე, თორე მაგდენს ვინ გალაპარაკებდა, მე მართლა გონსალა მენა!
გიგა — დედას გიტირებთ! დედას გიტირებთ! იმ ჩათლახსაც გადავცემ, საკუთარ კაბინეტში გამოვუყვან წიგნს, ტყვიას დავაშენებ შუბლში! დედას გიტირებთ ორივეს!

(რეზო ტელეფონს თიშავს, ისმის ზუმერის ხმა. გიგა ნომერს კრეფს და მცირე ლოდინის შემდეგ ყურმილს დაახეთქებს.) ლაჩარი ნაბიჭვარი! (თავისთვის) ორმოცი წლის იმიტომ გავზრდი, თქვენ გემსახურათ! თქვენ გიყურებთ ხელებში! მე აქამდე ვერ გავიგე ვინა ვარ, რას წარმოვადგენ, და ამათ მარტო თავიანთი კარიერა ჩემიც ყველაფერი იციან! მეშინია რომ მარტოებმა ეს დამპალი, [illegible] ბოლომდე მოუხადეთ!.. მტერი ვარ ამხელა კაცი, არ უნდა წავიდე, [illegible] რომ არ წავიყვანე, არაფერი მოიკლებოდა, ცოლი მოსაკლავი არ მყოლებია, [illegible] ვირიშვილი, მაგრამ კაცს რომ წერა აქვს!

## სურათი პირველი

სცენაზე არიან გიგა, რეზო და ნატა. მოშორებით მაგიდასთან შამპანურის რამდენიმე ბოთლი დგას.

რეზო — ერთი სიტყვით, გადაწყვეტილი ამბავია, (ნატას ღიმილით გადახედავს) აღარ უნდა ბევრი ლაპარაკი!
გიგა — რეზო, მე მეშინია, დღეს მასპინძლების თავი არა მაქვს, მოწყენილა ვარ! ეგ რა ხნის თუ არ დაგვისვენებ, ბოლოს მოუწყდება! დაჯექი ერთი წუთით, დამშვიდდი, სხვა დროისთვის გადავდოთ!
რეზო — ჩვენი მინისტრი მყავს დაპატიჟებული, ბავშვი ხომ არა ხარ! საქმეს სჭირდება, გიგა, რა დროის წესია, ნუ გვიფუჭებ საქმეს! ნაცნობობებზე კარგად დალიე, დამშვიდდი!
გიგა — ვინ მინისტრი, ახალი?
რეზო — (ჩაციებით). აბა, მოხსნილ კაცთან რა მესაქმება?! გაგიგიჟდები, რომ გაიგო, ვინ დაინიშნა!
გიგა — ვინ? (შამპანურს უსხამს).
რეზო — ნოდარ ილიჩი! გაგიმარჯოთ! (დალევს). ვინ იფიქრებდა!
გიგა — (დაფიქრებით). ნოდარ ილიჩი?..

რეზო -- ჩვენი კლასელი, კირაკოზა, აღარ გახსოვს? ერთხელ პატარა ხიშიშიც მოგივიდათ. (ჩაიცინებს).
ნატა -- (სიცილით). ჩემი გულისთვის, რა დრო იყო!
რეზო -- (ნატას). შენც გახსოვს, არა?!
გიგა -- მითუმეტეს!.. არ გეწყინოს, რეზო, კაცს გადავეკარე და ეხლა... როგორ დავლიო იმასთან ერთად!..
რეზო -- (აწყვეტინებს). რა ბიჭი დადგა, იცი! ჩვენი ძმაა, თანაც საჭირო კაცია! შენზეც მელაპარაკა, ვიცინეთ, ბავშვობა გავიხსენეთ, რადა დროს ის ამბავია! ცხონებული ჯორბენაც გავიხსენეთ, იმ დღეს არ გადმოვიდა ჩვენს სკოლაში? მაგისი შესანდობარიც დავლიოთ.
გიგა -- (ყოყმანით). მინისტრი გახდა?
რეზო -- ჰო, რა ჩვენი ცხვირთველი! იგივე მინისტრია, აბა რა არი! მოდიხარ, ეხლა, ნუღარ მალოდინებ, ერთ ადგილზე ვარ გასახელებული, გავიდეთ და მერე პირდაპირ რესტორანში შევუერთოთ. ნატასაც წავიყვანთ. (ღიმილით გადახედავს). დღევანდელი სუფრის დედოფალი იქნება.

ნატა სიცილით უხდის მადლობას.

გიგა -- ჰო, მაგისი განაწყენება არ გვაწყობს, მეტი რა გზაა...
რეზო -- რადაც არ ჩანხარ ფორმაში, მაგრამ შენი ამბავი რო ვიცი, უცბად მოხვალ აზრზე (ნატას). ასე არ არი, ნატალია? მე ჯერ ერთ ადგილზე გავივლი და მერე მძღოლს გამოგიგზავნით. მანამდე, ჩემო გიგა, წვერი გაიპარსე, წყალი შეისხი, ადამიანს დაემგვანე. (კარისკენ მიდის, აცილებენ). საფიქრალი არაფერია, ძველი მეგობრები ვართ, თანაკლასელები, როდისმერე ჩხუბზეა ლაპარაკი?! მოკლედ.. მზად დამხვდით, წავიდეთ, ბავშვობა გავიხსენოთ!

მიდის.

ნატა -- როგორ გაასწორა!

გიგა სავარძელში ჯდება.

არ ემზადები? მალე მოგვაკითხავს.

პაუზა.

კირაკოზაზე დაიბოღმე?
გიგა -- ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დღეს უნდა მოვკვდე.
ნატა -- Мень ше надо пить!
გიგა -- ჯორბენაც დღევანდელ დღეს მოკვდა.
ნატა -- რა სისულელეებს ფიქრობ!
გიგა -- არ იცი, როგორი წუმპეა მახსოვრობა?
ნატა -- მე რის გახსენებაც არ მინდა, არ ვიხსენებ! (იცინის. ელექტროსაპარსს შენიშნავს, გიგას მიუტანს. გიგა საპარსს ართმევს). ძალიან დავბერდი?
გიგა -- რაც გაცნობ, არ შეცვლილხარ... სკოლაში ოდნავ გამხდარი იყავი.
ნატა -- მე უფრო ლამაზი ვარ თუ შენი ცოლი! (შამპანურს ისხამს).
გიგა -- ერთი ნაგავი ხართ ორივე.
ნატა -- მოსკოვიდან როდის ჩამოდიან?

პაუზა.

(სიცილით). რა უცნაურია! ერთი კლასით წინ ვსწავლობდი და ისეთი პატარები მეჩვენებოდით!

გიგა – (წამოდგება, სარკესთან მიდის). ზოგიერთ საკითხში გქონდა მეტი გამოცდილება.

ნატა – (გაბუტვით). გაფუჭებულო!

გიგა წვერს იპარსავს.

ტყუილად არ დაგვაკარგვინეს ათი წელი? სისულელეს გვიტენიდნენ თავში.

გიგა – შენ ეგა თქვი! შეკრება-გამოკლების გარდა სხვა არაფერი გამომდგომია.

ნატა – ახლა! რას კარგავს პროლეტარიატი სოციალისტურ რევოლუციაში?

გიგა – (სიცილით). არაფერს ბორკილების გარდა.

ნატა – და კიდევ, ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა.

ნატას სიცილით გააქვს დაცლილი ბოთლები, გიგა წვერის პარსვას აგრძელებს.

გიგა – ადამიანს რომ შეეძლოს, თავისი მომავლის წინასწარმეტყველება, ნეტა რამდენად შეიცვლებოდა ჩვენი ცხოვრება? სკოლის პერიოდში ნოდარს რომ სცოდნოდა, თავის მომავალი თანამდებობა, ან ჯორბენას – გარდაცვალების დღე, დავიჯერო ახლა ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა?.. მეტი არაა ჩემი მტერი! ბედისწერას ვერავინ შეცვლის. იცი თუ არ იცი, სულ ერთია, მაინც ყველაფერი ისე ხდება, როგორც უნდა მოხდეს!

## სურათი მეორე

სკოლა. სცენაზე დგას ჯორბენა რამოდენიმე მოსწავლესთან ერთად. შემოდიან გიგა და რეზო.

რეზო – სულ აქ ახალის ბრალია, მაგან მიგვაღებინა ორიანები.

გიგა – ეგრე გამოდის! თანაც, შეხედე, ერთი, როგორა დგას, ვითომც არაფერიო!

რეზო – (ჯორბენას). მოდი აქ, რა შორიდან იყურები!

ჯორბენა – მე?

რეზო – ჰო, შენ!

(ჯორბენა უახლოვდება).

რა გქვია?

ჯორბენა – ჯორბენა, მშაოჯან! (ჩაიცინებს). ჯორბენაძე ვარ და ჯორბენას მეძახიან.

რეზო – საიდან ჩამოხვედი, ჯორბენ?

ჯორბენა – მახარაძიდან.

რეზო – რა ნიშნებზე სწავლობდი?

ჯორბენა – ხუთებზე.

გიგა – გაფიცებ დედას!

რეზო – (ჯორბენას პერანგზე ღილს აწვალებს). ჰოდა, იმიტომ გადმოხვედი მახარაძიდან, რომ ორიანები მიგვაღებინო?!

ჯორბენა – არა, ბოზი ვიყო!



გიგა -- ეგ რა სიტყვებია! ფრიადოსანი ბიჭი მასე უნდა ლაპარაკობდე?

რეზო -- ჯერ არ შემოსულხარ კლასში (ღილს აწყვეტს, გადააგდებს). და უკვე ორიანები მიგვაღებინე?

ჯორბენა -- მე როდის მიგაღებინეთ, ტო?!

გიგა -- ანა კარენინა ნარკომანი იყოო, შენ არ [illegible] ბალამუტი?!

რეზო -- გაკვეთილი ჩაშალე და შენი გულისთვის ჩვენ დავისაჯეთ, აბა, ეგ რა საქციელია?!

ჯორბენა -- კარგი რა, რეზო, მაგის კაცი ვარ!

გიგა -- როგორც გატყობ, სიგარეტი გექნება!

ჯორბენა -- როგორ არა, მაქვს (ჯიბიდან ამოიღებს)!

რეზო -- წამოიღე და წამოდი.

ჯორბენა -- გაკვეთილები?

გიგა -- გვიცდება.

ჯორბენა დაეჭვებით შეხედავს.

რეზო -- გვიცდება, გვიცდება. (ხელკავს გამოსდებს). ეი, ჯერ არ მოსულხარ და უკვე ორიანები მიგვაღებინე? მოიტა სიგარეტი!

ჯორბენა -- (შემცბარი ღიმილით). არ მიცნობთ, რა, ბიჭებო, რა!

იწევიან.

გიგა -- არ არი ლამაზი, მე ვიყო ცერეუს აგენტი!

ჯორბენა -- თქვენ სერიოზულად მაბრალებთ?

რეზო -- რაა! (ჩაუწკიპურტებს. ჯორბენა შეშინებული მოიბუზება). ცოტა სიტყვებს დაუკვირდი!

გიგა -- შეეშვი, რეზო, არა ჩანს ცუდი ბიჭი! გამოუცდელობით მოსდის, (ჯორბენას) დაბრალება რა საკადრისია, ეგ უნდა გვითხრა?!

ჯორბენა -- არა, ტო!..

რეზო -- (აწყვეტინებს). ჩვენ შენ რაღაცას გაბრალებთ, ე.ი. "ნაზალკას" გადებთ? იცი, ნაზალკაზე რას უშვრებიან?

ჯორბენა -- რეზო-ჯან, გეფიცები, მასე თქმას არ ვაპირებდი, (გიგას) არ მინდოდა თქვენი წყენინება.

გიგა -- დანაშაულს გამოსყიდვა უნდა, ჯორბენ! შენი ბოდიში რაში გვჭირდება!

რეზო -- ნაღდია!

გიგა -- სამი მანეთი გაქვს?

ჯორბენა -- ჩემი თავი გენაცვალოთ! (ჯიბიდან ხურდა ფულს იღებს, -- დახედავს). მაგდენი არ ჩანს მანდ, სამწუხაროდ!

რეზო -- (გადაითვლის). მანეთი და სამოცი კაპიკი. (გიგას გადახედავს).

გიგა -- ცოტაა!

რეზო -- (ჯორბენას). ცოტაა! ეგრე არაფერი გამოვა!

ჯორბენა -- ტაქსით მოვედი სკოლამდე, ცოტა შემომეხარჯა! რა ვიცოდი, ასე ძალიან თუ გჭირდებოდათ!

გიგა -- დანარჩენი ხვალ მოიტანე (ნოდარი და ორი მოსწავლე შემოდიან სიგარეტის მოსაწევად).

ჯორბენა -- ჩემი თავი გენაცვალოთ! ([illegible] ხაზით გადააფურთხებს). კაცი კაცით არი, ჩვენ თუ არ გავუ[illegible]

ხელი ერთმანეთს, ისე არაფერი გამოვა, (ახალშემოსულს შეუბრუნდება) მეგობარო, ერთი ასანთი დამაწიე, ჩამიქრა ეს ოხერი! (უკიდებს).

ნოდარი -- არც თქვენ მეხვედით? მთელი კლასი შატალოზეა (იცინის).

გიგა -- თორენას ხო იცნობ, ჩვენი ახლობელი რაა?!

ნოდარი -- განაბი?

გიგა -- ლოშკა აქვს, რომ არ ვუშველოთ, არ შეიძლება!

რეზო -- ფულს ვუგროვებთ, სამ საათზე გიროვის პარკთან დაგვხვდება.

ერთ-ერთი მოსწ. -- (ფულს აძლევს. მეორეც იგივეს აკეთებს). როცა მასეთი სიტუაციაა, ვინ გეტყვით უარს!

ჯორბენა -- (ჩაურთავს). ჭეშმარიტად.

რეზო -- ჩვენთან სიკეთე არ დაგეკარგებათ!

ერთ-ერთი მოსწ. -- რაზეა ლაპარაკი!

ჯორბენა -- (მოსწავლეებს). წვალისთვისაც დაგვჭირდება ჩვენ სამ-სამი მანეთი, კაცი ხელს ვერ ითქვამს, ოფლად იღვრება, რომ არ ვუშველოთ, ვერ გაატანს.

გიგა და რეზო ერთმანეთს გაოცებით გადახედავენ.

ჯორბენა -- როცა კაცს უჭირს, ფულის მოგროვება გრეხია.

გიგა -- (ჩაცინებით). ჩვენ საერთო მეგობარს (ნოდარზე უთითებს) ვერ შეეფერება ეგ! როგორც გატყობ, უარის თქმას აპირებ!.

ერთ-ერთი მოსწ. -- ეტყობა, ფული არა აქვს! (სიცილით).

რეზო -- მამამისის პატრონს ხამაგისო რა გაუჭირდა?!

გიგა -- დღეს მანქანა რომელ საათზე მოგაკითხავს, ბიჭო? "მოდერნს" გამოართვი!

ნოდარი -- მაქვს, მაგრამ მჭირდება.

რეზო -- ეგ რო თორენამ გაიგოს!.. მე არაფერს გეტყვი, მაგრამ...

გიგა -- (აწყვეტინებს). მოიცა ერთი! (ნოდარს). ნატასთან რა საქმე გქონდა, რას ელაპარაკებოდი გაცხარებით?

ნოდარი -- ნატას კითხე! (სიგარეტს აგდებს, მიდის).

გიგა -- (ხელით აჩერებს). მე შენთან ლაპარაკი არ დამიმთავრებია!

ნოდარი -- გიგა, შემეშვი თუ ძმა ხარ! (ხელზე ხელს აუკრავს).

ჯორბენა -- (რეზოს). უყურე ამას!

გიგა -- (საკინძეებში ჩაავლებს, შეანჯღრევს). "მებუთნები" კიდევ, შე ახვარო?

ნოდარი -- ხელი! (წაეჭიდება). ხელი აიღე!

გიგა -- (ურტყამს). "მებუთნები" კიდევ?!

რეზო -- (მუცელში ჩაკრავს). კირაკოს, რამ გადაგრია, გააჩერე?

ნოდარი -- (გაიბრძოლებს). შემეშვით!

ჯორბენა -- ამ უზრდელს დამიხედეთ!

გიგა -- თქვი, რო ახვარი ხარ და მაგ გოგოსთან არაფერი გესაქმება!

(დანას გახსნის, შეუმჩნევლად უჩხვლეტს).

თქვი!

ნოდარი -- (თითქმის ჩურჩულით). არაფერი მესაქმება... უზრალოდ დაველაპარაკე.



გიგა -- ხმამაღლა... (ისევ უჩხვლეტს). ვინა ხარო, რაო?

პაუზა.

არ გადამრიო ეხლა!

ჯორბენა -- თქვი, ახვარი ვარ-თქო!

ნოდარი -- (ტირილით). ახვარი ვარ...

გიგა -- და რა?..

ნოდარი -- მაგ გოგოსთან...

რეზო -- არ მესმის!

ნოდარი -- არაფერი მესაქმება.

გიგა -- რატომ იტყუები? (მუშტს ჩაკრავს). მტყუანის, რო ახვარი არა ხარ!

რეზო -- კარგი, შეეშვი, მოინანია თავისი შეცდომა (დანარჩენ ორ მოსწავლეს) თქვენ წადით, საქმეს მიხედეთ!

(მოსწავლეები მიდიან).

ჯორბენა -- (მოსწავლეებს). ხვალ მამულის მოტანას ნუ დაივიწყებთ, ბიჭებო, უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩაგვაყენებთ! (ნოდარიც წასვლას აპირებს).

გიგა -- (ნოდარს ხელს სტაცებს). სად მიპარები?

რეზო -- ეყოფა, კლასელია რაც არ უნდა იყოს! ეს ერთიც ვაპატიოთ!

გიგა -- ატირებულს ხომ არ გავუშვებ, იმღეროს და წავიდეს.

რეზო -- (გიგას). კარგი, შე!

ჯორბენა -- დასიცხის კრიმანჭული!

რეზო -- (ჯორბენას). შენ რა დღეში ხარ?!

ჯორბენა -- (შეფიცხარი). მე გიგას მხარეზე ვარ, ტო!

გიგა -- (რეზოს). შენა გზაზე რად გადააბრუნებ წოლმე პლასტინკას?! მე ამ ახვართან ცუდი უნდა გამოვიდე და შენ კარგი, თუ შეიძლება რაშე?! ან აქეთ იყავი ან იქით!

რეზო -- მორჩი ბაზარს! დაეხსენით და ყოფა, გაუშვი ეხლა! ვერა ხედავ, ტირილით კანკალა!

გიგა -- სწორედ მაგიტომ მართო ცხვირპირდასანგრევი!

რეზო -- რაც გინდა, ის ქენი! (ჯორბენას სიგარეტს ართმევს). მართლა ყველაფრის ღირსია.

გიგა -- (ნოდარს). შარვალი გაიხადე! ფული მჭირდება, ჯიბეში ხელს ვერ ჩაგიყოფ! (რეზო გიგას გაოცებით მიჩერებია).

პაუზა.

გაიხადე-მეთქი! (დანით უჩხვლეტს). გავიგო ასიანი!

ნოდარი -- დამარტყი!

გიგა დანას მოიქნევს, რეზო ხელს დაუჭერს.

გიგა -- (რეზოს). გამანებე თავი!

რეზო -- გაგიჟდი?! (ხელს უშვებს).

გიგა -- (ნოდარს). გაიხადე შარვალი! თავი არ მომაკვლევინო!

ჯორბენა -- (ნოდარს). შენც გაიხადე ერთი წუთით, რა მოგივიდა?!

გიგა -- დროზე თორე!... (დანის დასარტყმელად ემზადება). გაგიხლიკავ ჯიგარში!

(ნოდარი ტირილით იხდის. ბიჭები მდუმარედ უყურებენ). ეხლა აიღე ეგ შარვალი (დამცინავად) და ხელით წაიღე, მთელმა სკოლამ დაგინახოს, რა დამპალიც ხარ!

ნოდარი შარვლის ასაღებად დაიხრება, ჯორბენა ფეხს ამოარტყამს, ბიჭები სიცილს დააყრიან. ტირილით გადის.

რეზო -- ამისგან რა კაცი უნდა გამოვიდეს!

ჯორბენა -- თქვენისთანა ხალხს რას გაუბედავდა?!

გიგა -- მათხოვარი ნაბიჭვარი! საკუთარი უკანალისთვის ვერ მოუვლია და ნატახ ეპოტინება.

რეზო -- (ჯორბენას). შენ ეხლა გაკვეთილზე შედი, "არები" არ ჩააწერინო, ჩვენ საქმეზე მივდივართ. (ჯიბიდან ფულს ამოიღებს, ითვლის). შენთან რამდენია?

გიგა -- ცხრა მანეთი. შენთან?

რეზო -- ცამეტი. ტაქსის ფულიც გვრჩება... ჰოდა, ჩემო ჯორბენ, გახსოვდეს, ცხოვრება ომია, ომში კი ძლიერები იმარჯვებენ, შენ თუ არ დაჩაგრე, (ფულს ხელმეორედ ითვლის) შენ დაგჩაგრავენ... ნუ დაივიწყებ, გამოგადგება.

ჯორბენა -- ნათელია ყველაფერი, მადლობელი ვარ დარიგებისათვის.

გიგა -- (მიდიან). თუ ვინმემ გაწყენინოს, ჩვენ გვითხარი.

ჯორბენა -- კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, არა ვარ მე დასაკარგი კაცი!

შემოდის უფროსი გიგა. რეზო, გიგა და ჯორბენა სხვადასხვა მიმართულებით გადიან სცენიდან.

გიგა (უფროსი) -- ეჰ, ჯორბენ, შენ რაღატომ დაარტყი?! (ჩაიცინებს). არ იყავი სათბილისო კაცი, ქალაქმა დაგღუპა. რა მოგარბენინებდა, დარჩენილიყავი სოფელში, ეხლა ხო ცოცხალი იქნებოდი!

## სურათი მესამე

რესტორან მეტეხში იმყოფებიან რეზო, გიგა, ჯორბენა და ორნი სამმართველოდან -- მიხაილოვიჩი და პეტროვიჩი, ხასვამში ჯორბენა ცეკვავს.

ჯორბენა -- (მიხაილოვიჩს გაეთამაშება). აბა, მიხაილოვიჩ, ხელები გამალე, სუფრასთან ყველანი თანასწორები ვართ!

მიხაილოვიჩი ცეკვავს.

ჰარე რა! რეზო, შენ რაღას უყურებ?! აქაოდა დირექტორი ვარო!

იცინიან, ცეკვავენ, შეძახილებით ამხნევებენ ერთმანეთს, ჯორბენა მთიულურის ილეთებს აკეთებს, წრეს შეკრავენ, ტაშს აყოლებენ.

მიხაილოვიჩი -- ეს რა კაცი ყოფილა, კაცო! რამდენი გვამხიარულა!

რეზო -- ამისთანა არასოდეს მინახავს!

გიგა -- აქამდე სად იყავი, ჯორბენ?!

ჯორბენა -- ტალანტსაც აღმოჩენა უნდა, გენაცვალე, აქამდე "შუბლიკა" ვერ მიგიგნია, რატომ გაჩერდით?! რატომ გაჩერდით?! აბა, შალახო ვაჟიდაა!

პეტროვიჩი -- (ტაშს აყოლებს). მაგდენი სად შემიძლია, ძმაო!



ომახიანი შეძახილებით როკავენ, მერე სიცილით იკავებენ ადგილებს მაგიდის გარშემო.

ჯორბენა -- (რეზოს ანიშნებს, გარეთ გავალო). ერთი წუთით და ახლავე გეახლებით!

რეზო -- მიდი, გენაცვალე, მიდი, ძალიან არ დაიგვიანო!

ჯორბენა -- სულ ერთი წუთით! უჩემოდ ნურაფერს დალევთ.

რეზო -- (მიაძახებს). ოფიციანტი გამოგვიგზავნე, ეტყობა, ახალია და კარგად არ გვიცნობს.

ჯორბენა -- ყურით მოგითრევთ, ბატონო!

ჯორბენა გადის ავანსცენაზე, ჯიბიდან კოდეინის რამოდენიმე კოლოფს ამოიღებს, მუჭში დაცლის, მიმოიხედავს და დალევს, მერე სიგარეტს ეწევა. პარალელურად გრძელდება მოქეიფეთა საუბარი.

პეტროვიჩი -- ძალიან კარგი ბიჭია, რა!

გიგა -- ჰო, კარგი ბიჭია! (შუბლზე თითს მიაკაკუნებს). ცოტა კრამიტი აქვს დაცურებული, თორე, ისე რა უჭირს!

იცინიან.

მიხაილოვიჩი -- ეგ რო არ ყოფილიყო, ჩვენ ამისთანა ღრეობას ვერ გავატარებდით!

რეზო -- მაგის მეტი საქმე კი არაფერი აქვს! ღადაობა და ქალები, იმთავიდან სხვა არაფერზე ფიქრობდა!

პეტროვიჩი -- ვა, ქალები?! (აღფრთოვანებულად ჩაიხითხითებს). მე მგვანებია!

მიხაილოვიჩი -- ესეც ასეთია! მონახა თავისი ჭკუის კაცი!

რეზო -- ერთიც შევსვათ, არა?! ქალებზე ლაპარაკი ცოტა ხნით გადავდოთ, ჯერ ერთმანეთი არ გვიდღეგრძელებია!

შემოდის ჯორბენა.

პეტროვიჩი -- (ჯორბენას მხარზე ხელს დაკრავს). ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

რეზო -- ჯორბენა გაიდღეგრძელეთ, დღეს ნაღდად დაიმსახურა!

ჯორბენა -- მარტო დღეს?

რეზო -- ღმერთმა დაგლოცოს, კაი ბიჭი ხარ! ცოლ-შვილის გიდღეგრძელებ! სკოლაშიც კარგი იყავი, საქმეშიც კარგი ხარ! ქალებზე ლაპარაკობდნენ და გავაჩერე, უშენოდ მაგ თემაზე ხმის ამოღება არ შეიძლება!

იცინიან.

მიხაილოვიჩი -- (ჩაერთავს). მართლა ეგრე იყო!

ჯორბენა -- გიცოცხლეთ!

რეზო -- კარგია, რო სკოლის მეგობრები აქა მყავხართ, უფრო ამაყადაც ვგრძნობ თავს, თქვენი იმედი მაქვს...

გიგა -- (ჩაერთავს). გაგიმარჯოს!..

რეზო -- (აგრძელებს). იცოცხლე, ჯორბენ, ჩვენს უღალატობას გაუმარჯოს, ღმერთმა შენი ცუდი არ გამაგონოს!

ჯორბენა წამოდგება.

დაჯექ!

ჯორბენა -- ვიდგები, უფრო კარგად მოგისმენთ.

რეზო -- კინტო ხარ რა, რა უნდა გქნას კაცმა!

ჯორბენა -- პაიტ! (შეითამაშებს). დღეს ჩემი დღეა! ვიცეკვოთ, ვიმხიარულოთ, ეგ იქნება ჩემი დღეგრძელობა! (სკამზე შეხტება, ცეკვავს).
გიგა -- აღარც გვისმენს, ეს მამაძაღლი, ყველამ ერთად შევსვათ!
ჯორბენა -- ყველანი სკამებზე! სხვანაირად არ მივიღებ!

*სკამებზე დგიან, ადღეგრძელებენ, სვამენ.*

მადლობელი ვარ, დიდხანს იცოცხლეთ!

*შემოდის ოფიციანტი. საჭმელი მოაქვს. ჯორბენა სკამიდან ჩამოხტება, დანარჩენებიც ჩამოდიან.*

ერთი მომღერანე ბეჭზე (ოფიციანტს) და სამ თუმანს მიიღებ!
ოფიციანტი -- (სიცილით). რა ენაკვიმატი კაცია, კაცო!

*იცინიან. შემოდის რეზოს მძღოლი.*

ჯორბენა -- (ოფიციანტს). ყოჩაღ! უკვე აითვისე ეგ საქმე!
რეზო -- (მძღოლს). დიტო, ჯერ არ ვამთავრებთ, ნაადრევად მოგივიდა მოსვლა. ბენზინი ჩაასხი?
მძღოლი -- (მორიდებით). კი, ჩავასხი... რაღაცის თქმა მინდოდა.
რეზო -- ამათთან დასამალი არაფერი მაქვს.

*მძღოლი ოფიციანტს გადახედავს, ოფიციანტი გადის.*

მიდი, მითხარი, რა გინდა!

*მძღოლი რეზოს ეჩურჩულება, ჯორბენა მიხაილოვიჩს ელაპარაკება.*

ხმამაღლა გაიმეორე, ამათაც გაიგონონ! სტუმრებისა ნუ გერიდება, სამმართველოდან არიან, მაინც გაიგებენ. რაც მთავარია, ჯორბენამ მოისმინოს. ჯორბენ!
ჯორბენა -- დიახ!
რეზო -- მოუსმინე, რას ამბობს, შენ გეხება!
მძღოლი -- მმართველმა დარეკა, თქვენი მასალით აშენებული "დაჩა" გამავდაო. როგორც წვიმა მოვიდა და დაასველა, ფერი აღარ შეცვლია, ისეთივე ჩორბი დარჩაო.
ჯორბენა იცინის, გიგასაც ეღიმება.
რეზო -- სასაცილოა?
ჯორბენა -- მე რა შუაში ვარ, ბატონო რეზო?
რეზო -- აბა, მე ვარ შუაში? (მძღოლი გადის). უმრავლოდ, ფეხებზე გკიდია ქარხნის ავტორიტეტი! რადგან სასაცილოდ გეჩვენება, შეიძლება, შეგნებულადაც მიკეთებ!
მიხაილოვიჩი -- ბაგრატიჩ, გაპატიოთ! მზე დააცხუნებს და ისევ გათეთრდება.
ჯორბენა -- როგორ გეკადრება, ბატონო რეზო, მე გიგას ვკითხე, რომელი გაეუხვაენით-მეთქი და მაგ მასალაზე მითხრა.
გიგა -- შენ ხომ არ დაიფეთრე! ახლა მე გამიყვანა საქმეში!
რეზო -- კარგი, ჯორბენ, კარგი! უკვე დავიღალე შენთან ლაპარაკით. გიგამ რო გითხრას, გადავარდები წყალში? შენ თუ მუშაობა არ გინდა, თქვი, ძალით არავინ გაგაჩერებს!
ჯორბენა -- თქვენ თუ მიბრძანებთ, დღესვე დავწერ განცხადებას.
რეზო -- დაწერე! მასეთ მუშაობას ფასი არა აქვს! ის კაცი შენ კი არა, მე დამაბრალებს, რეზომ არაფრად ჩამაგდოო, იტყვის.
ჯორბენა -- უკანასკნელად შეგაწუხებთ მაშინ და კალამი მიბოძეთ თუ შეიძლება!



გიგა -- (ღიმილით). კალამი რად გინდა?
ჯორბენა -- განცხადებისთვის.
რეზო -- ეს მე მგონი, დაგვცინის!
ჯორბენა -- რა საკადრისია!
გიგა -- გაეღადავება რა!
პეტროვიჩი -- ბაგრატიჩ, ერთი გამაგებინე, ის აგარაკი დაენგრევა უფროსს თუ მარტო ფერზეა ლაპარაკი?
რეზო -- (ღიმილით). სამმართველოს სპეციალისტი ამ კითხვას უნდა იძლეოდეს?

*იცინიან.*

პეტროვიჩი -- ზოგჯერ მეც მეშლება ხოლმე, ყველაფერი კი არ ვიცი!
რეზო -- მასე რო ინგრეოდეს, საბჭოთა კავშირისგან ნანგრევების მეტი არაფერი დარჩებოდა.
გიგა -- უფასოდ რო მიაქვთ, ამდენი მასალა, იმას რატო არ კითხულობენ, ზედმეტი პროდუქცია საიდან გავაჩინოთ! რა, დავხატოთ?
ჯორბენა -- ვის ადარდებს პატარა კაცის გასაჭირი!

*იცინიან.*

რეზო -- (ჯორბენას). რატო არ წერ განცხადებას?
ჯორბენა -- დღეს მაგალ დავწერე, გადავათეთრებ და ხვალ მოგართმევთ, პატივცემულო.
რეზო -- ამას გინია, ვეხუმრები!
მიხაილოვიჩი -- შენ სწორად თქვი, გიგა, ცხოვრება ასეა მოწყობილი, შენ არ მოიპარავ, სხვას მოაპარინებენ და რაცა სხვამ მოიპაროს! არაფერი იქნება, უფრო მოდური აგარაკი გამოსულია, მმართველს მაგი სახარჯი მოუწრდება.
ჯორბენა -- (გიგას). ცუდადა ვარ
რეზო -- (იგებს ჯორბენას ნათქვამს). ცუდად უნდა იყო, აბა, კარგად რატო უნდა იყო, ხარ ღირსი? (იცინიან). ეხლა ნუ შეზეურები და ამ ერთხელაც გაპატიებ, თუ მმართველმა გაპატია. დალევა არ გინდათ, ჭიქას რატო არ მივსებთ? (ჭიქას უვსებენ). ისე, სამარცხვინო რამე კი მოხდა, ხალხი რას იტყვის!
ჯორბენა -- (გიგას). მართლა ცუდადა ვარ!
გიგა -- ჰო, კარგი, ნუ წაიღე ტვინი!
რეზო -- თავს ნუ იკატუნებ ტყუილად! არსად არ გაგიშვებ, ნუ გეშინია! მმართველი შინაური კაცია, რაღაცას მოვახერხებ!
გიგა -- კარგია, არ მიმხვდარიყო, მაგრამ რადგან მიხვდა, ეშველება რამე!

*ჯორბენა თავს ჩაჰკიდებს.*

რეზო -- ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს! ერთმანეთის გვჯერა, ერთმანეთს ვენდობით, ერთმანეთის პატივსა ვცემთ და რაღა დარჩა? თუ ჩემს სიტყვებს რაიმეს დამატება ესაჭიროება -- დაამატეთ, თუ არადა ეს ჭიქა ულაპარაკოდ მივიღოთ!

*ერთმანეთს ადღეგრძელებენ, სვამენ. პეტროვიჩი მაგნიტოფონს ჩართავს და ცეკვას იწყებენ. მიხაილოვიჩი გიგას მაგიდასთან მდგომ ჯორბენაზე ანიშნებს. გიგა ხელს ჩაიქნევს, თავი დაანებე.*

პეტროვიჩი -- ჟორჟენ!

ჟორჟენა არ პასუხობს.

შემოვირიგოთ როგორმე, ბაგრატიონ, გვეშველება კაცი!

რეზო -- ჟორჟენ, ბოდიში ეხლა! რაც იყო -- იყო!

გიგა -- რა გაიმეტრაა! შეხავით არ ხარ? შეჩერდით ერთი!

მიხაილოვიჩი -- (სიცილით). მაგას ბინავს.

რეზო -- (წაავლინებს). ხომ გამოზრდ, ფეხებზე ჰკიდია-მეთქი!

გიგა -- (ხელს წაკრავს). ჟორჟენ (რეზოს გაწევდავს, ჟორჟენას შეანჯღრევს)!

მიხაილოვიჩი -- გული წაუვიდა? ვა!

აიშლებიან, ჟორჟენას დასტრიალებენ.

რეზო -- (გიგას). ენა ამოუგლიჯეთ! (ქალების გაშვებას ცდილობენ). თქვენ წადით, (მიხაილოვიჩს და პეტროვიჩს) ჩემი მძღოლი დაუძახეთ!

პეტროვიჩი -- ვა, ეს რა მოხდა, კაცო! ღუდაკუა ვარო, ამბობდა!

რეზო -- წადით! თქვენი აქ ყოფნა არ არის საჭირო! მძღოლი გამოგზავნეთ სასწრაფოდ!

გადიან.

გიგა -- ცოცხალია.

რეზო -- თუ არ გამაღვიძეთ, ყველაფერ გაიფუჭდება! (ლოყებზე წამოარტყამს). ჟორჟენ! ჟორიკო! (გიგას). მაინც არ მოი-მალეთ, არა!

გიგა -- მე რატომ მიბღვერ! ალბათ აქ მშიერია, ცოლისთვის წამალი შინდაო, არ გამიმეჟა?!

რეზო -- ქალიშვილ უცებ გაეხსნებოდა.

შემოდის მძღოლი.

სასწრაფოდ საავადმყოფოში!

მძღოლი -- ინფარქტმა დაარტყა? (გაყვანაში ეხმარება). ინფარქ-ტია, ალბათ.

რეზო -- ალბათ.

მძღოლი -- რა კაცი, კაცო, რა კაცი!

ჟორჟენა გაყავთ, გიგა რჩება სცენაზე.

გიგა -- ჟორჟენა უკვე მკვდარი იყო, საცოდავი! ბავშვი იყო... დიდი ბავშვი, თავისი თავი მაინც დაგვამახსოვრა. ჯერ წლები გავიდა მისი სიკვდილის შემდეგ და ფილმს ხშირად ეხლაც ეკრანებზე ხედავ... მე კი, დაწყებუ-ლი ვარ, ასე არავინ გამიხსენებს...

## სურათი მეოთხე

გიგას ბინა. გიგა რესტორანში წასასვლელად ემზადება. შემოდის ნატა შამპანურის ბოთლით ხელში.

ნატა -- წვერი კიდევ არ გაიპარსე?

გიგა -- არ მეტყობა?

ნატა -- გეტყობა. (საკოცნელად გადაიხრება და იქვე წაბორძიკ-დება). გაგეიმედრებელი! (კოცნის). ცოტაც რომ დავლიოთ, დაშავდება რამე?

გიგა -- მინისტრს მთვრალი უნდა გამოვეცხადო?

ნატა -- უჰ! მინისტრი კი არა, კირაკოზაა! მაგას ისე ვუყვარდი, თუ მოვინდომებ, იცხარ ახლავე დაგაპატიმრებინებ!



გიგა -- ხომ არ ამღერდი კიდეც?!

ნატა -- (დაცინვით). ვისა, კირაკოზას?!

გიგა -- მუჯნები ხართ ყველანი.

ნატა -- (სიცილით მოსვამს შამპანურს). ახლა გაიგე?

რეკავს ტელეფონი.

ალიო?

გიგა -- (ტელეფონთან მიდის). შეიძლება, ცოლი იყოს. რაც წავიდნენ, მაგისი არაფერი ვიცი. (ყურმილს იღებს). გისმენთ... ჰო, რეზო (ჩაიცინებს)... გადაიდო?.. კარგი, დავულოდოთ, მინისტრია რაც არ უნდა იყოს... კი, (სიცილით) ნატაც აქ არის, კარგი.

ნატა -- (სიცილით). მე არ გავიწყდები?

გიგა -- კირაკოზასთვის გამზადებს.

ნატა -- მართლა მასეთი გაფუჭებული გგონივარ? გეფიცები, სამი კვირაა კაცი არ მინახავს.

გიგა -- ქმრის გარდა?

ნატა -- სამი კვირის წინ შენთან ვიყავი, აღარ გახსოვს?

გიგა -- ჰო, გამახსენდა, გამახსენდა, სახლიდან რომ გამოგაპან-დურეს!

ნატა -- (სვამს). მასე გეგონოს!

გიგა -- დედამთილმა რაო, კარგაა?

ნატა -- შენ გირჩევნია!..

პაუზა.

გიგა -- რა? (კარადასთან მიდის, პიჯაკს გამოიღებს, ჰალსტუხს არჩევს). რა გირჩევნია?

პაუზა.

ნატა -- დამლაგებლად გინდივარ მარტო!..

გიგა ჰალსტუხს იკეთებს.

როგორ ფიქრობ, მენა საყურებლად მიყვარდი?

გიგა -- დღეს თუ გადავრჩი, ერთი თვე წვეთს აღარ დავლევ.

ნატა -- წავიდეთ?

გიგა -- ეხლა მომიყევი სახლიდან როგორ გამოგაპანდურეს, დედამთილმა ფაქტზე დაგიჭირა?

ნატა გიგასთან მივა და წინ დაუდგება, სარკეს ეფარება, გიგა ხელით ცდილობს მის ჩამოშორებას.

გააფრინე?

ნატა პერანგის ღილებს ჩაუხსნის, მკერდზე ეფერება. გიგა სიცილით გაექცევა.

ნატა -- (იგივეს იმეორებს, გიგა გაურბის). გაყრისას გაჩვენებ მე შენ!

გიგა -- (სიცილით). აფხუს!

ნატა -- რა აფხუს?

გიგა -- შენ უნდა ყოფილიყავი ჩემი ცოლი!

მცირე პაუზა.

ნატა -- (სახის ჩამოკაწვრას ცდილობს). გიგო, მოგკლავ, იცოდე, მოგკლავ!

გიგა ხელებს გაუკავებს, ყელზე კოცნის, ნატა კიდევ გაიბრძოლებს და თვითონაც მოეხვევა.

არანორმალური, გგონია, ცუდი ცოლი ვიქნებოდი?!

გიგა -- მომენატრე! (ჰალსტუხს იხსნის).

ნატა გაუძალიანდება.

სად გარბიხარ?! (ნატასკენ ნაბიჯს გადადგამს). დილიდან არ ამომასუნთქე და ახლა გარბიხარ?!

ნატა -- ისე, უბრალოდ გეფერებოდი, (ღიმილით) სხვა რამე კი არ მინდოდა! გაჩოგდადე, რა!

გიგა -- აბა, აბა, მართლა არ გამაბრაზო! (მკლავებს მოხვევს). უბრალოდ მოფერება რა, ნუგას შკოლაა?!

ნატა -- (დარცხვენილი). არ შეიძლება ჩემთვის, ვერ ხვდები?

გიგა -- უჰ, ეს რა პრობლემაა! (საკინძეს ჩაუხსნის).

ნატა -- რა გაფუჭებული ხარ! (ღიმილით). "მეზღვეროდი" ხარ, რა!

გიგა -- (ტუჩზე ცერს გაუსვამს). თავის დამცრება არ მომწონდომა?!

ნატა -- არ გატყუებ, მართლა არ შეიძლება!

გიგა ნატას ხელში აიყვანს, რამოდენიმე ნაბიჯს გადადგამს.

არა-მეთქი, არ გესმის?!

გიგა ნატას თავს ანებებს.

რა მოგივიდა?

გიგა -- დავიღალე.

ნატა -- (ღიმილით). რა, არა?

გიგა -- (ხუმრობით). შე, მართლა გასხმა!

მოეხვევა. სცენაზე ნელ-ნელა ისადგურებს.

## სურათი მეხუთე

ჯორბენას ნაცნობის ბინა. გიგა უმცროსი და რეზო კარტს თამაშობენ. შემოდის ჯორბენა ხათუნასა და ნანას თანხლებით.

ჯორბენა -- გაიცანით, გიგა ჰქვია, რეზოს იცნობთ. კაცია კარგური.

ხათუნა -- (გიგას თავს დაუკრავს). ხათუნა და ნანა. რეზო, სიგარეტი მომაწოდეთ, რა! ისე მინდოდა, ლამის ქუჩაში გავაბოლე (იცინის. რეზო სიგარეტს აწვდის). რას თამაშობთ?

რეზო -- ბოკერს ვთამაშობდით.

ხათუნა -- აქ რო შეგვეკითხეთ, მილიციელი აგვაკიდა. წარმოგიდგენიათ?

რეზო -- სახლი ნახეს?

ხათუნა -- არა, მაგ გაგებით არა! (იცინის). ისე აგვაკიდა, როგორც კაცი.

ნანა -- მაგლებს ტყუილად კი არ ეძახიან.

ხათუნა -- მირჩევნია კაცს საერთოდ არ დაველაპარაკო, ნილიციელს თავს როგორ გავუყადრებ!

გიგა -- მაგდენი ესმით, რო!

ჯორბენა ორ ბოთლ ღვინოს გამოიღებს კარადიდან და ქიქებში ასხამს.

ჯორბენა -- თქვენს გაცნობას გაუმარჯოს, კარგი ხალხი დაგვაკავშირეთ ერთმანეთს. (ხათუნა მაგნიტოფონს ჩართავს).

რეზო -- გაუმარჯოს.

ნანა -- (ჯორბენას). არ ვიცეკვოთ?

ცეკვის დროს ჯორბენა რაღაცას ეჩურჩულება და ნანა სიცილით ეცინება.

ხათუნა -- (რეზოს). კარგი თანაკლასელები გყავთ?

რეზო -- კარგი რას ნიშნავს?

ხათუნა -- გოგონებზე ვამბობ.

რეზო -- არიან რა! ცუდები რატომ იქნებიან? კარგებს გულისხმობ?

ხათუნა -- არა, თქვენთან მაინც წესიერად მოიქცევიან, (ჩაიცინებს) ეშმაკები არიან.

გიგა -- შენც წესიერად იქცევი თანაკლასელებთან?

ხათუნა -- ნუ უხეშობ, რა! ახლა კარგი ბიჭი ხარ და არ გიხდება!

გიგა -- ვაჰ. (ნაძალადევი თავმდაბლობით). კომპლიმენტიც დავიმსახურე! მოგწონვარ, ჩემო?

ხათუნა -- კი, ძალიან. გინდა, ვიცეკვოთ?

ცეკვავენ. ჯორბენა რეზოს ფულს გამოართმევს და ნანას აძლევს.

ნანა -- ეს რა არის?

ჯორბენა -- დანარჩენს მერე გაგისტუმრებ, მეტი ვერ ვიშოვეთ. (გიგას) ვალი მაქვს ამისი.

ნანა -- არ მინდა! (იცინის). ფული რა საჭიროა, არა გრცხვენია?

ხათუნა გადახედავს.

ხათუნა -- (ჯორბენას). მაგ ფულით, გირჩევნია რამე მოიტანო, შიმშილით ვკვდებით.

რეზო -- ცხალებვი იყიდე, ხშირად გვეზრდებიან!

გიგა -- (ცეკვას შეწყვეტს). მე წავალ!

ხათუნა ჩაიკისკისებს, ნანაც აჰყვება.

ჯორბენა -- (სიცილის შეკავებას ცდილობს). მეც რატო, ტო?!

გიგა -- (გოგონებს). რა გაცინებთ?

ხათუნა -- არ შეიძლება? (გიგასთან მივა, აკოცებს). სიცილი ცუდია?

ჯორბენა მიდის.

გიგა -- სულელური სიცილი არ "შევასება"!

რეზო ნანას მიეკარება და ცეკვისას ხელებს უფათურებს. ტანზე სხეუებს, ნანა დროდადრო კისკისებს.

რეზო -- (ნანას). ჯორბენას საიდან იცნობ?

ნანა -- ხათუნას გაუცვნია ბათუმში, არა, ხათო?

ხათუნა -- ჰო, დიდი ხანია ვიცნობ, მახარაძემდიც ვარ ნამყოფი მაგასთან. თქვენც გიცნობდით შორიდან, ძველი ბიჭები არიანო, მითხრეს.

გიგა -- ძველი ბიჭების!.. არ შემაგინებინო!

ხათუნა -- რა ცვალაფერი გწყინთ?! ცუდი კი არ თქვეს!

ნანა -- (რეზოს). კარგი, რა! (სიცილით). აღარ შემიძლია მეტი, ეს რა ცეკვაა? (რეზო მეორე ოთახში ძალით უბიძგებს მეყვანას). ნელა, ნუ მატკინე! (ისევ ჩაიკისკისებს, ხათუნას გამოხედავს). მე თვითონ წამოგალ (გაჰყვება). მტკივა, კაცო, ეა!

ხათუნა -- (სიცილით). პირველი უნდა იყოს?

გიგა -- საიდან გამოიგონე?

ხათუნა -- უცნაურად იქცევა! ისე, ამბობენ, გამოუცდელ ბიჭს ბედნიერება მოაქვსო! (ჩაყელოდან ხელს ჩაუცურებს და მკერდზე ეალერსება).

გიგა ისტერიული სიცილით გაუსხლტება.

გიგა -- შემეშვი, რა, ვერ ვიტან! მეღიტინება, მართლა ვერ ვიტან!
ხათუნა -- (სიცილით). გეკოცო? (მიეხვევა, კოცნის). ჰო, კარგი იყო?

(გიგა თავს უქნევს თანხმობის ნიშნად). აბა, რატომ არ მაკოცე?

გიგა -- (გაოცებით). როგორ არ გაკოცე?
ხათუნა -- (სიცილით). შენ კოცნაც არ გცოდნია, გასწავლო?
გიგა -- (განაწყენებული). მე არა მცოდნია?
ხათუნა -- (ღიმილით). შეიძლება, არ მოგწონვარ და იმიტომ... ღვინო დამისხი თუ არ შეწუხდები! (გიგა უსხამს, ხათუნა მის საქმიანობას ღიმილით ადევნებს თვალს) გაგიმარჯოს!

შემოდის ჯორბენა.

ჯორბენა -- მჟავე და "გარეჯი" ვიყიდე, სხვა არაფერი იყო.
ხათუნა -- აღარ მშია, მადა დამეკარგა.
ჯორბენა -- რატომ, კალო?! (ძეხვსა ჭრის).
ხათუნა -- გიგას არ მოვწონვარ.
გიგა -- მე როდის გითხარი?!

შემოდის თავაწეწილი ნანა, თითქოს დაბნეული და გაოგნებულია. ოთახში მყოფთა დანახვაზე ჩუმად ჩაიცინებს, ჭიქას ავსებს, ღვინოს მოსვამს და ისევ ჩაიცინებს. ხათუნასა და ჯორბენასაც ეცინებათ. შემოდის სახეგაბადრული რეზო.

რეზო -- ღვინო მოიტანე?

პაუზა. ჯორბენა სიცილის შეკავებას ცდილობს და გარეჯის ბოთლს ხსნის.

ხათუნა -- ვინ იცის, იქაურობა ყირაზე დააყენეს!
ჯორბენა -- ნახე, რა! ბინა ხელუხლებლად უნდა ჩავაბაროთ პატრონს, მაზარამელი ბიჭია, ეწყინება.
ხათუნა -- (გაიძახის). ამათ ღრეობა ატარონ, მე კუპსახურიაო! კარგია, ხომ?!
ნანა -- (რეზოს). მეც დამისხი, რა!
ჯორბენა -- (გიგას). მიდი, ნახე, ხათუნა რას აკეთებს.
გიგა -- რა ნახვა უნდა!

ნანა ჩაიკისკისებს.

რეზო -- რას იპრანჭები, ვერ გავიგე! (ნანას გადახვევს ამაყად, ნანას ხითხითი აუტყდება) კი არ. შეგჭამს!
გიგა -- დღეს ნამეტანი ენადაგრძელებულები ხართ ყველანი! (გადის). რა გიხარიათ, ვერ გავიგე!

იცინიან.

ჯორბენა -- (რეზოს). გუშინ რატომ არ იყავი ხვალამი, ცირკი იყო!
რეზო -- (ნანას გადახედავს). "სტრელკა" მქონდა, მეზობელს ჯერტყი კბილებში! საღამოს ხომ გნახე?!
ჯორბენა -- გიგამ ისტორიის მასწავლებელი ატირა, მარშან ღრიანცი რატომ დამიწერეო (ანაშას ამოიღებს, მეგობრებს იწყებს). მახსოვრობა აქვს, გაგიჟდები! (ნანას). სამი წლიდან დაწყებული, დაწვრილებით ახსოვს, ვინ რა აწყენინა.



ნანა -- მისი თავისებური ნიჭია.

სიგარეტს მოუკიდებს, რეზოს მიეხუტება.

რეზო -- ვაი! (წამოდგება). ხელების გადაბანა დამავიწყდა!

სააბაზანოსკენ მიდის, ნანა დამცინავ მზერას გააყოლებს.

ჯორბენა -- ნუ იცინი, ეწყინება!
ნანა -- მეცინება და რა ვქნა?! (შემოდის შიშველ სხეულზე ხალათმოხურული ხათუნა. ნანა მის დანახვაზე ჩაბჟირდება). ღმერთო, არ მიწყინო, რამდენს ვიცინი.
ხათუნა -- ერთი ბოთლი უნდა წავიღო. (მიმოიხედავს). რეზო სად არის?

(სააბაზანოსკენ სიცილით ანიშნებენ) ჯორბენ, სად მოაგროვე ეს პატიოსანი ქალწულები?

ოთახისკენ მიდის.

ჯორბენა -- რი კითხო, ქვეყანას აზანზარებენ.
ნანა -- (ხათუნას). რა, არაფერი გამოდის?
ჯორბენა -- ნანა, გაფრთხილებ, ნუ იცინი! ეწყინებათ.
ნანა -- მასეთი მარიანები არიან?
ჯორბენა -- ფიცხები არიან ნამეტანი.

შემოდის რეზო

რეზო -- შეაკვეთე?
ჯორბენა -- რაღა დროსია!

პაპიროსს აწევიან.

ნანა -- მეც მომაწევინეთ, რა!
რეზო -- ვნახოთ, თუ კარგად მოიქცევი!
ნანა -- ამისი სუნი ისე მიყვარს! სადღაც კუნძულზე მგონია ხოლმე თავი!
ჯორბენა -- ბაბუასთან?

ნანა ნაფაზს დაარტყამს, მეორე ოთახის კართან მივა და შიგნით შეიხედავს.

ჯორბენა -- ამის გარყვნილებას საზღვარი არ ჰქონია!

ნანა სიცილით ანიშნებს, თქვენც მოდითო და რეზო და ჯორბენაც კართან მივლენ.

ნანა -- ცირკია რა!
რეზო -- ნახე, ნახე, რა მომენტია!
ჯორბენა -- ჩუმად, არ გაიგონ!
ნანა -- (გაოცებით). ვა, ყოჩაღ! ამას ვერ უყურებ!
რეზო -- (სიცილით). ხათუნას შეხედე, რა ტიპია!

იცინიან.

ნანა -- ეე! (გაოცებით). ყოჩაღ, გიგა! ხათუნასგან რა გინდათ?!
რეზო -- (კარს მოსცილდება). უკვე აღარა ღირს!
ჯორბენა და რეზო მაგიდასთან მივლენ.
ჯორბენა -- (ნანას). გამო, ქალო, აქეთ!

ნანა ხელით ანიშნებს, შემეშვითო.

რეზო -- ნანა! (რეზო თითქმის ძალით მოაშორებს კარს, ნანა ეწინააღმდეგება). სირცხვილია, გაუტყდებათ!
ნანა -- ეგენი რას გაიგებდნენ! (დაჯდება, ხელით ინიავებს). ვა, რა კარგი იყო!

რეზო და ჯორბენა იცინიან.

ჯორბენა -- დიდხანს გააგრძელეს ნამეტანი და შეიძლება ბინის პატრონი მოვიდეს.
რეზო -- არ იცოდა?
ჯორბენა -- იცოდა, მაგრამ ამდენ ხალხს რო დაინახავს!.. მარტო ჩემზე იცოდა.
ნანა -- მაგასი არაფერი მინახავს!
რეზო -- ტექნიკუმში სწავლობ?
ნანა -- რა მნიშვნელობა აქვს!
რეზო -- მაინტერესებს, სად უნდა მოგძებნოს კაცმა.
ნანა -- ტელეფონის ნომერს მოგცემ. ის ფურცელი მომაწოდე, რა! (რეზო ფურცელს აწვდის. ნანა წერს). თუ მე არ ავიღე, არ მიკითხო. ძალიან გვიანაც ნუ დარეკავ.

შემოდიან გიგა და ხათუნა. ხათუნა მტკივან წელზე ხელს იჭერს, სიარული უჭირს. სიცილით შეხვდებიან.

ხათუნა -- აპენდიციტი მტკივა, რა გაცინებთ?
გიგა -- (გავლისას ჯორბენას წამოარტყამს). ლაწირაკო!
ჯორბენა -- რა გვა ახლა ამას?

იცინიან.

გიგა -- ლაწირაკო!
ჯორბენა -- რეზო, თუ ძმა ხარ, მიშველე ეს ლეხმოტი!
გიგა -- (ისევ წამოარტყამს) რეზო ვერ გიშველის.
ჯორბენა -- კარგი რა! (წამოდგება). გავიდეთ, მალე მოვლენ, რამე ფილმი ვნახოთ.
რეზო -- (გიგას). "ვერ" კი არა, არ გიშველი!
გიგა -- მე!

რეზოს მხარზე მსუბუქად დაკრავს, რეზო... იგივეს იმეორებს.

ჯორბენა -- გავიდეთ, თორე ჩხუბი მოგვივა.

წამოდგებიან. სიცილით მიდიან კარისკენ.

რეზო -- (დამცინავად). ვისთან, ამასთან?

თანდათან უფრო ძლიერად ურტყამენ ერთმანეთს.

გიგა -- ბიჭო! (ისევ ურტყამენ ერთმანეთს). გონზე მოდი!
ხათუნა -- გეყოთ, რა! ჯორბენა კინოში გვეპატიჟება.
რეზო -- (გიგას). ნუ გიყვარს ყველაფრის ჩამორჩენა!

ნანა იცინის.

გიგა -- (რეზოს). ლაწირაკო!

## სურათი მეექვსე

მოქმედება ხდება საწარმოში. სცენაზე შემოდიან რეზო და გიგა. რეზოს კალამი და ბლოკნოტი უჭირავს, რაღაცას ანგარიშობს.

გიგა -- ლაწირაკო, რა დღეში იყავი წეღან?!
რეზო -- სწორად გითხარით რა! სისულელეა დღეში ... ტონაზე ნაკლების გამოშვება, ხარჯებსაც ვერ დავფარავთ. ყველა ჩამოვწერე: ხამასინსტროი, სამზარეულო, სახ...ლო კონტროლი... (გიგას შეხედავს). არ მისმენ? შენ მართლა ნაწყენი ხარ?
გიგა -- რა იცი, თანამშრომლების თვალწინ რომ გამიძლანძღე მაგის ღირსი ვარ შენთან?!



რეზო -- (ღიმილით). ასე იყო საჭირო, სხვების დასანახად გავაკეთე.
გიგა -- (აწყვეტინებს). რა იყო საჭირო! ჩვენი ძმაკაცობა დასამალი გახდა?
რეზო -- სისულელეს ამბობ!
გიგა -- სხვების დასანახად გააკეთე, არა? ძმაკაცს თუ არ ინდობ, ჩვენ მით უფრო არ დაგვინდობთ. ვინღა ჭამს მაგას!
რეზო -- კარგი რა, დირექტორი ვარ ბოლოსდაბოლოს, შენიშვნა არ მოგცე?! რა ძალიან შეიცვალე, სხვა დროს არ მითქვამს მასე? საქმეში ძმაკაცობა არ გადის, ძმაკაცობა სამსახურის გარეთ!
გიგა -- თუ ძმაკაცობა არაფერ შუაშია, მაგ ტონით ლაპარაკის უფლებას არავითარ დირექტორს არ მივცემდი და ცუდად ნუ ისარგებლებ ჩვენი ახლობლობით.

პაუზა.

რეზო -- შენ... (პაუზა). სახსოვრად ნუ აგდებ ყველაფერს! მაგეთი ტონით ლაპარაკს არც მე ვარ მიჩვეული და კაიფშიც მეორედ აღარ დაგინახო!
გიგა -- რაღაცა მიზეზს ეძებ შენ და ვერ ეჩვევი, რატო! რა დროს კაიფზე ლაპარაკია! მშვენივრად იცი, დიდი ხანია შევეშვი!... არა, სხვა რამეშია საქმე, რატომღაც ამითვალწუნე!
რეზო -- დიდი ხანია, რაც ჯორბენა დავასაფლავეთ?! ისიც მაგას მიმტკიცებდა! ასი ნაბიჯიდან მივხვდები, როგორც თვალებზე შემოგხედავ!
გიგა -- ოხ, რა გაქნილი ხარ! როგორ ტექნიკურად მიგდებ სიტყვას შარზე. სინანულით ჯორბენას მაინც ნუ ახსენებ, შიმშილით კლავდი კაცს! გყოფა, მეტი არ უნდა, გამიმაშრალი, მოურჩენელს ნუ მიაჩვევ, მიჩვეულს ნუ გადააჩვევ! ახლა მაგხელა სია რომ ჩამოაწიკწიკე, მთელი შემოსავლის ნახევარს წაიღებ და მაგათ მე გავისტუმრებ, შემთხვევით რამე რომ მოხდეს, მე გამომეძებენ ციხეში თუ შენ, მე ვარ მატერიალურად პასუხისმგებელი თუ შენ?! როგორც დირექტორი, დიდი დიდი მოგხსნან, მე თხუთმეტი წელი უნდა ეჩუხი!
რეზო -- რას მევაჭრები, პირდაპირ მითხარი!
გიგა -- ჯორბენას წილი დამიმატე. ათასია თუ ათასხუთასი მაწყობს.
რეზო -- (გაოცებით). რაა?
გიგა -- რა და რაც გაიგე! მე ჩემი წილი არა მყოფნის!
რეზო -- ვიცი, რაც გაწუხებს, კარგად გიცნობ! ვერ იტან, მე რო შენზე მეტი მაქვს! იმთავიდან მეჯიბრებოდი! არა, მარტო მე არა! ყველას ეჯიბრებოდი!
გიგა -- როგორც გინდა, ისე ჩათვალე, ჯორბენას წილი დამიმატე! მე უფრო გამიმართლებს. ჯორბენა ჩემი ძმაკაციც იყო, არ დაგავიწყდეს!
რეზო -- მაგ რამ გაგახარბა, ბიჭო?! დავიჯერო, ფული გაკლია?!
გიგა -- ზედმეტი არავის აწყენს! ისე, რაც სიხარბეს შეეხება, არც შენა ხარ მამა აბრამის ბატკანი!

რეზო -- შენ შენს თავს მიხედე! მე ვინც ვარ, ჩემი საქმეა!
გიგა -- რაიმე პრეტენზიები ხომ არა გაქვს?! თქვი, ნუ მიმალავ! ვატყობ, შორიდან მიდიხარ!
რეზო -- დამცინებს მეტია ხუმრობებსა! ნამეტანი გადიდკაცდი! მეუღლესთან, მე რაც არ წამიმცვივდა, ახლავე გადმოვიდე ინსტიტუტში იდეალებით ამ მანქანით! გავს ისეთ რამეს წე ახლანდელს, რისი თქმაც არ უნდა, ჩვენ ჯერჯერობით მიმდინარე ეპოქის ნავარდებში, და...
გიგა -- ვიცოდი, აღარ თუ გვიან დამაყვედრებდი, ვიცოდი... შეგრამ თავს იტყუებ! ახალი დაწყებული გქონდა შენ საქმე და პოზიციების გამაგრებისთვის გჭირდებოდი! მეგობრობით მე არა ვსარგებლობ, ჩემს ადგილზე ყველას იმედის მიხედავდა, რამდენჯერმე მე შემეძლო, ახლა ჯერ ერთი გასაგებია? საქმეც მე მაკლდება ბოლოს და რაც გაქვს სრულიად, რა გაქვს დასაყვედური? გულწრფელად მე მითხარი, კაი კაცი გამოდიხარ!
რეზო -- ეს რის რა მოგივიდა ჩემი, წინდაუ აქედან! შენ ჩემს მეტი ვერავინ გამოგიყვანდა, ვერავინ გადაარჩენდა! გამიგეგმე, სხვა თუ შეიძლება, შენ რატომ არ ფიქრობდი არავის, ყოველთვის მოდი წინაღმდეგ რაც მიგყავს საქმე! ამხანაგებთან მაინც იყავი წრფელი, ახლობლებთან ყველა კარგია!
გიგა -- გეუბნები, ჯერ მაინც წინა დამიმატე, მერე რაც გინდა იფიქრე.

მიდის.

რეზო -- მოიცა, სად მიდიხარ! (გიგა შეჩერდება). ღმერთს მეგობრობასთან უნდა გავიყოთ, ხომ არ დაგავიწყდა? მაგისი მადლობის ნაცვლები ვართ!
გიგა -- ფულზე შევთანხმდით?

პაუზა.

რეზო -- ვნახოთ!

პაუზა.

[illegible]

გიგა -- (ღიმილით). ზუსტად მეფეზე მეცოდინება ვარ, ბატონო!

## მეორე მოქმედება

### სურათი მეშვიდე

გიგას ბინა. ნატა სარკის წინ ზის და თვალებს ილებავს. შემოდის გიგა.

ნატა -- (წამწამის კალამს აწყობს). დაიღალე, თუ მალიან გეჯავრება, ერთი დაგელოდე.
(გიგა უხალისოდ ართმევს). არა, შენ ისე თქვი არა ხარ ფორმაში... ბერდები, კნიაზ, ბერდები!
გიგა -- მე მგონია, ვბერდები, დამბერებას ვინ ჩივის!
ნატა -- რათა, კაცო?



გიგა -- რა ვიცი, ლოგიკური მაქვს თავში.
ნატა -- ან ხასიათი გაქვს, ან -- ხვალე, სხვა ვარიანტი არ არსებობს.
გიგა -- შეიძლება.
ნატა -- ხასიათი საქართველოშიც შემოვიდა?
გიგა -- არ შემოვიდა, აქედან გავრცელდა მთელ მსოფლიოში.
ნატა -- (შემჩნეული). დიდად გვითვალე!
გიგა -- ჰო, აქედან გავრცელდა... ვაკე-საბურთალოდან ქვეყანას ედება.
ნატა -- (თვალებში შეიღებავს აგრძელებს). შენთან ხომ სერიოზული ლაპარაკი არ შეიძლება!
გიგა -- (შეგნებულობაზე გამოწვევა). აბა, ახლა მომისმინე, როგორ გამოსტყუარებ! დაემშვიდობე რაღა, კანაპე?
ნატა -- მართლა ლოგიკური გაქვს თავში.

პაუზა.

გიგა -- ნამდვილად უნდა იყო ტიტველი, რატომ არ იცვამ?
ნატა -- ყველაფერს თავისი დრო აქვს. (გამოფხიზლებულად გადაბრუნდება). ხომ, არ გადიხიბნებ? გამოტყდი, ნუ გრცხვენია!
გიგა -- გითვე გიყიდა?
ნატა -- არა, მადლობთ.

რეკავს ტელეფონი.

ნატა -- მე ვერ გაგიმხიარულებ?! რა მოგსარჩენია?!
გიგა -- ცოლი არ რეკავდეს! რამდენჯერ უნდა გითხრა! (ყურმილს იღებს). გისმენთ!
ოფისის ხმა -- მე ვარ ისევ, რას აკეთებთ?
გიგა -- რას უნდა ვაკეთებდეთ?! ველოდებით, შენა... ჯერ ერთის წილი არ მინდა, მაგ ფულით, კარგი ხასიათით გავატარეთ.
ოფისის ხმა -- რა სასაცილოა, ხომ არ გაგიჟდი! იმაზე კარგი რამე უნდა გამოგეგონა! შენ, მგონი, რაც დაგვახალდეულეთ, იმის მერე ალარც ახსოვხარ!
გიგა -- კარგი, ჰო, ნუ აქოთქოთდები, როგორც არ აქცეოდნენ!
ოფისის ხმა -- (ნაღვლიანად). წილზე რომ ფარს ამბობ, კარგია, ყასიდათან მეტი გამიტყდება!
გიგა -- ისე გიამბობ, სერიოზულად ნუ მიიღებ!
ოფისის ხმა -- სერიოზულად არც მიმიღია. ბოლოს გამოცხადება მხიარულ დამხვდით.

(ყურმილს დებს).

ნატა -- რეზოს ბრძანდებოდა?
გიგა -- ჰო, რეზოს იყო, დაგვპატიჟა სადილზე, მთელი კომპანიაზე, მთელ ქვეყანა, ჩაიცვი.
ნატა -- მე ადრინდ მეგონა, თუ წაგიყვანდი. (გადის). ამ წუთში მზად ვიქნები.

შემოდის რეზოს მძღოლი.

მძღოლი -- ბატონო გიგა, ბატონმა რეზომ გამოგზავნა.
გიგა -- გაიცა (ლოგინის კარისკენ ანიშნებს) და წავალთ. მანამდე ერთ ჭიქას ხომ არ დალევ?

მძღოლის ცუცხში.

მძღოლი -- არა, ჩემთვის როგორ შეიძლება!

გიგა -- ერთი ჭიქა არაფერია. (თავისთვისაც ისხამს). ჩვენ ერთად არც დაგვილევია, არა?
მძღოლი -- აბა, თქვენთან სადღაც, მე პატარა კაცი ვარ!
გიგა -- (სიცილით). თავს ნუ იკატუნებ! დისერტაციის მიღწევაზე პატარა რამე არ არის! მოვიცდი ხელი ჩაიქნას, მე ვარ პასუხისმგებელი, თუ ინსპექცია გაგვაჩერებს!
მძღოლი -- გაგიმარჯოთ, ამ ოჯახს გაუმარჯოს! დიდხანს იცოცხლეთ, ბატონო გიგა! დიდ პატივსა გვცემთ, მერიდება თქვენი...
გიგა -- რას ამბობ, კაცო!
მძღოლი -- ზევრს ემინია კიდეც, ბატონო გიგა! ქარხანაში როგორც შემოხვალთ, მაშინვე გაისუსებიან ხოლმე!
გიგა -- (სიცილით). ეგ კი ნამეტანი მოგივიდა!
მძღოლი -- ნაღდად რა! (იცინის). ერთი მხრიდან დაგანახათ, როგორ იმალებიან, რიგა დერეფანში გამოჩნდებით!
გიგა -- აჰა! იმალებიანო! მაგათ ვაჩვენებ დამალვას!
მძღოლი -- (სიცილით). ეხლა, ჩემი ნათქვამი თავზე არ დაიჩვენოთ! ემინიათ და რა ქნან! (იცინის). აი, ქმარი რომ ქალმენს გადააყირავებს, რა! მაზალი რამეა! ზოგი სადღაც გარბის, ზოგი სადღა! (გიგა ჩაიცინებს და მამპანურს მოსვამს). გაგიმარჯოთ, კარგად იყავით, მარაქა და წინსვლა არ მოგაკლდეთ მამაზეციერმა! (სვამს).
გიგა -- გაგიმარჯოს!
მძღოლი -- კარგია რა, დალევას არაფერი სჯობია!

სასლვამეზე ხელს გადაისვამს.

გიგა -- კიდევ დაგისხა?
მძღოლი -- არა, არა, მეტი მომივა! ამ გაზაფხულზე მატკანს გადავგიხდით და თქვენ და მაგრატისა ჭიქა დაგვპატიჟეთ, თუ გვეიკადრებთ!
გიგა -- ვაჰ, შენ ილინდ ეგ საქმე გააკეთე, უარს ვინ გეტყვის!

შემოდის ნატა, მძღოლი ცივად ესალმება, მძღოლი თავაზიანად პასუხობს.

გიგა -- (ნატას). წავედით?
ნატა -- (მძღოლს გადახედავს). რადგან გეტყვი და მერე...
მძღოლი -- ბატონო გიგა, მანქანაში დაგელოდებით.

კარისკენ მიდის.

გიგა -- (მძღოლს). სად ვაპირებთ?
მძღოლი -- "მეტეხშიო", ეგრე თქვა ბაგრატიონმა, შეკვეთა უკვე მიცემულია.

გადის.

გიგა -- (დაფიქრებით). რაღა ეგ აირჩია?!
ნატა -- მენი ცოლის ხაჯური რომ გავიკეთო, დამშავდება რამე?
გიგა -- ჯოჩენა მაგ რესტორანში მოკვდა, აზრზე ხარ? თანაც დღევანდელ დღეს.
ნატა -- რა დამთხვევაა, არა?! (პაუზა). აღარ წავიდეთ, შემეშინდა, ჩო იცი! (იცინის). შენც შეფიქრიანებული ჩანხარ. გიგა ხიგარეტს მოუკიდებს. ნატა უეცმ მოუთმენლივით მიაჩერდება ფანჯარას და უმალვე გარედან კივილის ხმას გაიგონებენ.



მარინა -- გიგის ქალი, -- მარინა!
გიგა -- (ფანჯარასთან მიდის). რა ამბავია?
ნატა -- მე მგონი, ვიღაც გადმოხტა იქიდან (თითს მიაშვერს). თვითრაფ ჩაიქროლა.

გიგა ფანჯრიდან იხედება.

მართლა გადმოხტა?
გიგა -- გაიქცევა და დაიმალება.
ნატა -- არა, მეშინია... რომ აღარ კივიან?
გიგა -- კივილი უშველის? (რეკავს ტელეფონი). აიღე, ისევ რამე იქნება.
ნატა -- რა ვუთხრა?
გიგა -- რაც გინდა, უთხარი! შიშით გული მისკდება-თქო.
ნატა -- გისმენთ... აწლავე. (ყურმილს აწვდის). მოსკოვიდან რეკავენ. (ჩურჩულით). შენი ცოლია.
გიგა -- (ტელეფონზე). მე ვარ!

მცირე პაუზა.

ცოლი -- ვინ არის ეგ ქალი?
გიგა -- დამლაგებელი. სად ხართ აქამდე?
ცოლი -- მომიშორე თავიდან და... გააკეთე სახლი კანზებით?
გიგა -- დამლაგებელია-მეთქი. (ნატა მუშტს მოუღერებს და ფანჯარასთან მიდის). ძალიან გაგიტკბათ მოსკოვში ყოფნა!
ცოლი -- ბავშვს გლანდების ოპერაცია გაუკეთეს.
გიგა -- რა ოპერაცია, როდის?
ცოლი -- გუშინ.
გიგა -- ვინ გაუკეთა, რატომ არ დარეკე?
ცოლი -- ჩაიარა უკვე ყველაფერმა, შენ...
გიგა -- რა მე?
ცოლი -- როგორა ხარ? (პაუზა). ეგ ქალი ვინ არის?
გიგა -- არავინ, დამლაგებელია.
ცოლი -- ახლა გვიან?
გიგა -- სამსახურიდან მოვიყვანე. ბავშვები როგორ არიან?

ისმის მამაკაცის ხველება.

ცოლი -- ახლა კარგად არიან.
გიგა -- მეც აწვალებ?
ცოლი -- ქიდავა ჩართული.
გიგა -- საქალაქთაშორისოზე ჩართვა არ გამიგია, შენთან არის ვინმე?
ცოლი -- გაგიჟდი, რას მეუბნები?!
გიგა -- ბავშვები მადაპარაკე!
კაცის ხმა -- გაგიჟდი, ხომ?
ცოლი -- დალიეთ რა, ძალიანა გთხოვთ, მოსკოვიდან გირეკავ.
კაცის ხმა -- რას რეკავ! ამ დაცენტრილთან ლაპარაკი შეიძლება?!
გიგა -- ოს, მე ნაბიჭვარო! ერთი აქა მყავდე!
კაცის ხმა -- მიდი, რა!

გიგა ყურმილს დაახეთქებს, მცირე პაუზის შემდეგ ყურმილს ხელახლა აიღებს, ზუმერს მოუსმენს და ფანჯარასთან მიდის.

ნატა -- ნაჭერი გადააფარეს.

პაუზა.

ნატა -- ის ქალი, ალბათ, დედაა! (ისმის სირენის ხმა). როგორ კიოდა!
გიგა -- სასწრაფოც რო მოვიდა! (დაცინვით). სასწრაფო უშველის?!
ნატა -- რა საშინელებაა! თავს რა მოაკვლევინებს, თანაც ასე საზარლად!
გიგა -- გაგიდეთ, გველოდებიან, თუ ნახვა გინდა, იქ არ ჩავალთ?!
ნატა -- ნუ წავალთ, რა, ცუდი დღეა დღეს!
გიგა -- ნუ გეშინია! არაფერი მოგივა, დღეს ჩემი რიგია.
ნატა -- გაგიჟდი?!

## სურათი მეორე

რესტორნის მეტეხის კუპე. სცენაზე საუბრით და სიცილით შემოდიან რეზო, ნოდარი და მიხაილოვიჩი.

რეზო -- შენი დანიშვნა ძალიან გამეხარდა. მეტი რო არ შეიძლება! (მიხაილოვიჩს). ხუმრობა ხო არ არის?!
ნოდარი -- (აწყვეტინებს). კარგი, თუ ძმა ხარ! ამაში ეჭვი ვის შეეპარება?! მეც გამეხარდა, როცა გავიგე შენი ამბავი, ერთ სისტემაში ვმუშაობთ, ერთ საქმეს ვემსახურებით, გიგა ხო!.. (იცინის) სულ არ შეცვლილა, ისევ ის გიგაა!
რეზო -- (სიცილით). დათვრა ბიჭი, წეღანდელი ნაშოვრალევია და მალე მოეკიდა.
მიხაილოვიჩი -- თან ეტყობა, ცოტა დალევს კიდეც, (ნოდარს) გახარებულია თქვენი ნახვით.
ნოდარი -- (სიცილით). რა აღელვებს, კაცო, მინაური კაცი ვარ.
რეზო -- მიხაილოვიჩი სწორად ამბობს, -- ღელავს. იმიტო დათვრა ასე მალე. წესით, მეორე დღეს უფრო კარგად უნდა აეტანა სასმელი.
ნოდარი -- მეზვეურნაზეც არის!
რეზო -- ეგეც მართალია! (მიხაილოვიჩს). სად გაიყვანა ის ქალი, სად არიან აქამდე?!
ნოდარი -- უყვარს? (ჩაიცინებს). მახსოვს, სკოლაში მოსწონდა. ისე, მაგარი ქალია, ადვილია მასეთი ქალის შეყვარება!
რეზო -- მე მგონი, აიხარშავეთ უფრო მოხდის, შეამბერლა ნატას, მაინცდამაინც არ უყვარს აქეთ-იქით წანწალი, თავშეკავებულია ქალებთან.
ნოდარი -- მაგას ვერ უყურებ! (რეზოს). არ დავლიოთ, როდემდე ველოდოთ, იქნებ წავიდნენ კიდეც?
რეზო -- როგორ გეკადრება, ილიჩ! იმათ კი არ ველოდები, შენ გისმენდით.
ნოდარი -- (მიხაილოვიჩს). მე დამაბრალა, ხედავ?!

იცინიან.

რეზო -- მოგიკვდეთ, ჩემი თავი!.. მე ისევ ჩვენს ბავშვობას ვეტრიალებ გარშემო, მაგრამ, რადგან ბედმა დღეს ერთმანეთს შეგვახვედრა და ეს შეხვედრა ჩვენი საერთო საქმის გამო მოხდა, ჩვენს საქმიანობას გაუმარჯოს, შენი თამადობით, ბატონო ნოდარ!



ნოდარი -- ხო არ ამთავრებ, რეზო, რა დროს ჩემი სადღეგრძელოა!
რეზო -- მე ახლა გადღეგრძელებ, როგორც ჩვენი საქმიანობის მეთაურსა და ხელისჩამდგმელს, მიხაილოვიჩსაც გადღეგრძელებ და საერთოდ ყველას, ვინც საერთო საქმეში გვერდში გვიდგას, გვეხმარება, ხელს გვიწყობს...

შემოდიან გიგა და ნატა.

გიგა -- მეგობრებო, სტუმრები გავაცილეთ, დავაბინავეთ და დაგიბრუნდით!
რეზო -- სტუმრები ერთად არ გავაცილეთ?! (იცინიან). აღარც ახსოვს!
მიხაილოვიჩი -- ილიჩმა ისიც იფიქრა, ხო არ გაიპარნენო.
გიგა -- ილიჩ, შუბლზე უნდა გეამბორო! (შუბლზე კოცნის). რა სწორად მიმხვდარხარ! იპარებოდა ქალი, ძლივს მოვაბრუნე, ჩემი გაპარებაც მოინდომა!
ნოდარი -- არა გრცხვენია, ნატა? კაცი თქვენი გულისთვის დავრჩი, ვიფიქრე, სკოლის მეგობრებში ორ სიტყვას ვიტყვი-მეთქი და შენ წასვლას აპირებდი?
რეზო -- ვაი, სირცხვილო!
ნატა -- არ დაუჯეროთ, იტყუება!
გიგა -- აბა, აბა, აბა!

იცინიან.

რეზო -- გაუმარჯოს, გაუმარჯოს! ილიჩ, მიხაილოვიჩ, ნატა, გიგა, გაგიმარჯოთ!..
გიგა -- უკაცრავად!
რეზო -- რა არის, გიგა, შაცალე, კაცო!

იცინიან.

გიგა -- ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ვერ გავიგე ვისი სადღეგრძელოა.
რეზო -- ჩვენი საქმიანობის და ყველა ჩვენთაგანის.
გიგა -- ჰო, იცოცხლე!
რეზო -- რაც გასწვდით, ეს ერთი სადღეგრძელო ვთქვით!
გიგა -- გენაცვალე!
რეზო -- გაგიმარჯოთ! ჩვენს გარჯას გაუმარჯოს, დაგვეყსებოდეს!
ნოდარი -- გაგვიმარჯოს! საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში პატარა წვლილი ჩვენს სამართველოსაც შეაქვს. ერთ-ერთი პირველები გადავედით თვითდაფინანსებაზე, ერთ-ერთმა პირველებმა დავამყარეთ უშუალო კავშირი საზღვარგარეთის ფირმებთან, ფულება შოვკეებს და ჩვენც გამოვიყენეთ, გავამართლეთ მთავრობის ნდობა...
რეზო -- იცოცხლე!
ნოდარი -- მე არც მაღლა მდგომთა და არც თქვენს მიმართ პრეტენზია არა მაქვს, აქამდე როგორც გიმუშავიათ, ამის შემდეგაც ისე გააგრძელეთ...
რეზო -- უკეთესად გავაგრძელებთ!
გიგა -- უკეთესად, უკეთესად!..
ნოდარი -- (აგრძელებს). მაგრამ, ახლავე რო არ გითხრათ, მერე თქვენ თვითონ მისაყვედურებთ, გაფრთხილებულები არ გყოლოდივართო. მეტი თავმდაბლობა და სიფრთხილე გვმართებს. ხალხი ჭრელია, ათასი ინტრიგანი და მტრიანი, ნუ ვაძლევთ სალაპარაკოდ მიზეზს! ჩემო გიგა, რა საჭიროა 24-ით რო დადიხარ?

გიგა -- (გაოცებით). მე?
ნოდარ -- მე ჩემი თანამდებობა და ჩვენი ურთიერთობა უფლებას მაძლევს ეს შენიშვნა მოგცე! ხელფასი რამდენი გაქვს?
გიგა -- ორასი მანეთი.
ნოდარი -- ხო გკითხავენ, საიდანო?! ვიღაცა რო მოვიდეს და გკითხოს, 24 რა საშუალებით შეიძინეო, რას უპასუხებ?
გიგა -- ბინა გავყიდე, იმით ვიყიდე, ცოლის ბინაში ვცხოვრობ, ილიჩ.
ნოდარი -- კარგი. ბინა როდის შეიძინა შენმა მეუღლემ?
გიგა -- სამი წლის წინ.
ნოდარი -- რა საშუალებით?
გიგა -- როგორ რა საშუალებით? მე მკვდარი ვარ თუ რამეა საქმე?

იცინიან.

ნოდარი -- (საქმიანად). გამოცვალე, გამოცვალე, 24 ყვირის, "ჟიგულით" იარე. კარგია, ბინა ცოლზე გაგიფორმებია, მაგრამ მანქანის გამოცვლა მაინც მოგიწევს, მარტო შენ კი არა, (მიმოიხედავს) ყველას გეხებათ. რეზო, სასახლეში ყველას გადაეცი!
რეზო -- დიახ, ილიჩ! გადავცემ!
ნოდარი -- (გიგას). ძალიანა გთხოვ, ამ თემაზე მეორედ აღარ მალაპარაკო. კაცი დემოკრატიაო, საჯაროობაო, ათასი მტერი გვყავს, მიზეზს რად ვაძლევთ?!
მიხაილოვიჩი -- სწორი შენიშვნაა!
რეზო -- ხვალიდანვე მივხედავ მაგ საქმეს!
გიგა -- ხალხი ძროხაა! რად უნდა ძროხას დემოკრატია? ჭამა-წამოვა, მაინც ბალახს მოძოვს.
რეზო -- (სიცილით). ბალახსაც მოვლა უნდა!
გიგა -- ძროხას მეწველი და საჭრე სჭირდება! (იცინიან). გონიერი კაცი თვითონ მიხედავს თავის თავს. თუ მბრძოლს ზოგჯერ საჭრე არ გადაუჭირე, თუ ლუკმა-პური არ მოანატრე, თუ ტკაცილებით არ გამოუჭედე ყურები და ქვეყნის უფლება არ ჩამოართვი, სიცოცხლეს გაუმწარებ! გააშმაგებ და გადარევ!
რეზო -- პოლიტიკოსობა დაიწყო! ამ ბოლო დროს ყველა პოლიტიკოსი გახდა.
მიხაილოვიჩი -- ეგრევე უნდა! დროს არ უნდა ჩამორჩეს კაცი!
გიგა -- კაცს თუ ფული არა აქვს, რა ჩემს ფეხებად უნდა დემოკრატია?! არა, ილიჩ?!
რეზო -- მგლის თავზე სახარებას კითხულობენო, ამაზეა ნათქვამი.
გიგა -- ჩემო ნოდარ, აი, რეზოა კაცი, ყოველ ყველაფერში, მე გზაზე მაგან დამაყენა! ნამდვილი ბიზნესმენია, ამერიკაში რო დაბადებულიყო, მილიარდერებს გააკოტრებდა. ოფიციალური უფლება რომ მისცე, ჩვენი ქვეყნის [illegible] ეკონომიკას ორ თვეში ფეხზე დააყენებდა. მუშას თუმანი, ჩვენ ასასები, არა, რეზო?

იცინიან.

რეზო -- (გიგას). არც შენა ხარ ნაკლები!
გიგა -- მე სულ სხვა კაცი ვარ! მე სულ სხვა კაცი ვარ!



ნოდარი -- მოვრჩეთ საქმეზე ლაპარაკს, ნატამ მოიწყინა! ნატა, ჭირიმე, ამოიღე ხმა, რატომ გაჩუმებულხარ?
ნატა -- რა ვთქვა?
ნოდარი -- სკოლაში არ მოგწონდი?
ნატა -- როგორ არ მომწონდი!

იცინიან.

ნოდარი -- ახლა?
ნატა -- ახლაც მომწონხარ.
ნოდარი -- მერე თქვი ხმამაღლა, სტუმრებმაც გაიგონონ! (გიგას.) შენ ხომ არ გწყინს ჩვენი ხუმრობა?
გიგა -- როგორ გეკადრება, ილიჩ!
ნოდარი -- თუ არ გწყინს, ჩვენში თანამდებობით ყველაზე პატარა ხარ და გადი ერთი, ნახე, ჩემი მძღოლი მოვიდა თუ არა! გაიგე, მხოლოდ, ჩემი მშაკავი როგორ მოიყვანა, ხო მშვიდობით იარეს! (რეზოს.) ეს პატარა ყურადღების ამბავია, გიცი ყველაფერი რიგზე იქნებოდა, მაგრამ მაინც გავიგოთ!
რეზო -- რა თქმა უნდა!
ნოდარი -- (გიგას.) თუ გეხარება, მე წავალ. (გიგა წამოდგება, შეურაცხყოფილი გადის.) არ გეწყინოს, ჩემო გიგა, არ დაგეკარგება პატივისცემა!
მიხაილოვიჩი -- მანდ რა არის საწყენი!
ნოდარი -- მაინც სადღაც უწყინარის მეგობრებთან უფროსობა!
რეზო -- მეგობარი არ ჯობია უფროსად?!
ნოდარი -- (სიცილით.) ვისთვის როგორ! (იცინიან.) ნატა, გკითხავენ, რას აკეთებ, სად მუშაობ, როგორ ცხოვრობ! (რეზოს.) ეს რა მორცხვი ქალი ყოფილა, მე სხვანაირად ვიცნობდი!
რეზო -- მოწონხარ, ილიჩ, იპრანჭება!
ნატა -- რაღა დროს ჩემი პრანჭიაობაა!
ნოდარი -- მუშაობ, ნატა?
ნატა -- არა, არ ვმუშაობ.
ნოდარი -- რატომ, ნატო?
რეზო -- რად უნდა, რო?
მიხაილოვიჩი -- როგორ არ უნდა, აბა რით უნდა გაერთოს?!
ნატა -- (სიცილით.) ჩემი შესაფერისი სამუშაო ჯერ არ გამოუგონიათ.
ნოდარი -- მოვიფიქრებთ რამეს! აი, ჩემი "ვიზიტკა". (სავიზიტო ბარათს აწვდის.) დამირეკე. (შემოდის გიგა.) რამე წყნარ და მყუდრო ადგილს მოგიძებნი.
რეზო -- ისეთი რო, როცა უნდა მივიდეს, როცა უნდა წამოვიდეს.
ნოდარი -- ეს ჩემზე იყოს! გიგა, ნახე, გელოდება?
გიგა -- ჯერ არ მოსულა.
ნოდარი -- (რეზოს.) ეს დაგამალი თამადა კაცს? (მიხაილოვიჩს.) რა "მალადიეტრაკები" ყოფილან, ასე როგორ შეიძლება!
რეზო -- გეხვეწები, გეხვეწები!
ნოდარი -- (ნატას) შენი ნებართვით ბიჭებს გავიზდი!
ნატა -- კი, ბატონო.

რეზო -- ახლა ქართველი ქალები ვადღეგრძელოთ, ჩვენი სუფრის დედოფლის თამადობით! (სუფრის წევრები მოწონებას გამოთქვამენ.) საქართველო ქართველმა ქალებმა გადაარჩინეს თავიანთი ქალობით, თავგანწირვით, პატიოსნებით. ყველასათვის მაგალითების მიმცემები იყვნენ, ვაჟკაცებს უზრდიდნენ სამშობლოს! მხოლოდ საქართველოში მოხდა ერთადერთი შემთხვევა, რომ ქალი აკურთხეს მეფედ.

მიხაილოვიჩი -- თამარი!

რეზო -- დიახ, თამარ მეფე! უნიკალური შემთხვევაა მსოფლიო მასშტაბით.

ნოდარი -- ნამეტანი მოგდის, რეზო, ერთი შემთხვევა როგორ არის!?

მიხაილოვიჩი -- ნაღდია, ნოდარ ილიჩ! სხვაგან დედოფლები ყავდათ, თამარი ერთადერთი მეფე იყო!

ნოდარი -- აქამდე არ დავკვირვებივარ!

რეზო -- მართალია, ქვეყნებს განაგებდნენ დედოფლები ძალიან ხშირად, მაგრამ ქალი მეფედ, მხოლოდ ჩვენ გვყავდა. ესეც რამხელა კულტურაზე მეტყველებს, რამხელა შეგნებაზე?

გიგა -- სადღა არიან პატიოსანი ქალები?! ქალს ქათმის ჭკუა აქვს, იკაკანებს, იკაკანებს და კვერცხს სხვის ეზოში დადებს.

რეზო -- (სიცილით).ნუ გვირევ!

მიხაილოვიჩი -- ქართველ ქალზე მაგის თქმა როგორ შეიძლება?!

გიგა -- უკვე აღარ არის პატიოსნების დრო. ახლა ზოგს რეხვენია კიდეც, საყვარელი თუ არა ჰყავს.

ნოდარი -- სკოლაში რომ ვიყავით, გიგა, მაგ სიტყვებზე ჩხუბი მოგვივიდოდა! (იცინის.) ცოლები გვყავს, დები გვყავს, დედები გვიცოცხლოს ღმერთმა!..

გიგა -- (აწყვეტინებს.) წავიდა ჩვენი დედების დრო -- ფანატიკოსი ქალების დრო, ახლა პატიოსნება სად იწყება და სად თავდება, არავინ იცის!

ნოდარი -- ნატას ვკითხოთ მაშინ. ნატა, შენ რას იტყვი?

ნატა -- გიგა სადღაც მართალია.

იცინიან.

ნოდარი -- (მიხაილოვიჩს.) როგორ ემხრობა ხედავ? ნატა, თუ ასე გააგრძელებ აღარ მიგიღებ სამსახურში.

გიგა -- პატარა გოგო მეზრდება, ანგელოზი, ცხოვრება ისე აირია, უკვე წინასწარ ვარ პანიკაში.

მიხაილოვიჩი -- თურმე რა ალაპარაკებს?!

რეზო -- როგორც გაზრდი, ისეთი იქნება!

გიგა -- ჩვენ როგორც გვზრდიდნენ, ისეთები გამოვედით?

ნოდარი -- უკეთესი გამოხვედი, დაწყნარდი ახლა! ნატას გაუმარჯოს, ქალებს გაუმარჯოს! ნატა, ჩათვალე, რომ, დღეიდან ჩვენი კოლეგა ხარ!

სხვებიც ადღეგრძელებენ.

გიგა -- (ნატას).რა კოლეგაზეა ლაპარაკი?

ნოდარი -- (გიგას).შენ სკოლიდანვე ასეთი ეჭვიანი მახსოვხარ, ხანდახან ჩხუბიც გიყვარდა, თუ არ ვცდები! ერთხელ 55-ე



სკოლელებს რომ წავაყარეთ, იქ არ იყავი? (გიგა რეზოს გადახედავს.) რა დღეში ჩავყარეთ ის საცოდავები, როგორები ვურტყით! რა არის ბავშვობა! (მიხაილოვიჩს.) მაგარი კლასი გვყავდა, მთელი სკოლა ხელში გვეჭირა! გიგა ტანით პატარა იყო, ამას მივაგზავნიდით ხოლმე და როგორც დაჩაგვრას დაუპირებდნენ, ჩვენც იქვე გავჩნდებოდით! აბა, მიზეზიაო და გიყვარდეს! ატყდებოდა დაგნარი, რაღა გაგვაჩერებდა?!

ნატა -- ვინ იყო პატარა? გიგა?

ნოდარი -- ჩვენთან შედარებით პატარა იყო, აბა, რა იყო!

მიხაილოვიჩი -- ბავშვობა ეგ პერიოდი თუ არ გაიხარა, ნაღდი კაცი ვერ დადგება. ქიცაც უნდა იცოდეს და ქიცმაცერიც!

ნოდარი -- (რეზოს.) წყალბურთელს რომ ვცემე, გახსოვს? (რეზო მელანქოლიური ღიმილით ეთანხმება.) იმხელა კაცს როგორ დავარტყი, კაცო, ახლაც მიკვირს!

იცინიან.

რეზო --მიში რა იყო, არ ვიცოდით!

გიგა -- მე ჩემს ბიჭს ორ რამეს ვასწავლი აქედანვე: არავინ შეიბრალოს და ცხოვრებას დაუკვირდეს: ნიჭიერია, არაფერი შეეშლება, ამიტომაც, მჯერა რომ გამიმართლებს! არავითარი სენტიმენტალიზმი, არავითარი ემოციები... მხოლოდ საკუთარ პატივმოყვარეობას უნდა ემსახუროს! ნიჭი თავისთავად ძლიერებაა, გამარჯვების უნარს ნიშნავს, გამარჯვების უნარი კი მხოლოდ ბოროტებას აქვს, მხოლოდ ბოროტს გაუთენის უკანასკნელი დარტყმა!

მიხაილოვიჩი -- (სიცილით). ე. ი. ნიჭი ბოროტებაა!

გიგა -- ჰო, ამ ცხოვრებაში, ან ბოროტი უნდა იყო ან იდიოტი! ჩემთვის რომ ეს თავიდანვე ესწავლებინათ, ამდენ დროს არ დავკარგავდი კვლევით ინსტიტუტში. ოქროს მედალსაც ვუყიდი, გზაზეც დავაყენებ! მაინც ყველაფერს თავისით მიხვდება და რატომ მოვატყუო?! ჩვენ რომ გვატყუებდნენ რა გამოვიდა?! ასევე დროის პრობლემა, დრო დავკარგეთ მხოლოდ, ეხლა მე მილიონერი ვიქნებოდი! მაგრამ მე სხვა კაცი ვარ, სხვა კაცი! მე ის არა ვარ, რასაც ვამბობ; არც ისა ვარ, ვინც თქვენ გგონივართ!

იცინიან.

რეზო -- ჩვენი ხარ, გიგა, გენაცვალე, ჩვენიანი ხარ!

გიგა -- თქვენი ვარ, ჰო, თქვენი... კარგია, რომ ასე ფიქრობთ!

იცინიან.

ნოდარი -- როგორ დავაჟკაცებულა, კაცო! რომ ეთქვათ, ვერ დავიჯერებდი!

გიგა -- (აგრესიულად) რაა?

რეზო -- გვეყოფა, მეგობრებო, ამდენი ლაპარაკი და ნატა წავაცეკვოთ ცოტა, მართლა მოიწყინა ქალმა!

ნოდარი -- როგორც თანამდებობით უფროსს, პირველი ცეკვა მე მეკუთვნის! გთხოვთ, ნატა!

წამოდგება, ნატას საცეკვაოდ გაიყვანს, მიხაილოვიჩი მაგნიტოფონს ჩართავს.

გიგა -- (რეზოს). ამოვიდა ყველაფერი ყელში. ერთიდაიგივე ინტრიგები, ერთიდაიგივე პრობლემები, ერთიდაიგივე მასკარადები!.. წერტილი უნდა დაესვას ყველაფერს, წერტილი!
რეზო -- რატომ, გიგა, ჯორჯენას წილიც გამოსტყუე, მეტი რა გინდა?!
გიგა -- მიკროსკოპითაც რომ უკვირკიტო, ახალს ვერაფერს დაინახავ! კი, ბატონო, მოლეკულა, ატომი...
მიხაილოვიჩი -- როგორ გეტყობა, კვლევით ინსტიტუტში რომ მუშაობდა!
გიგა -- (აგრძელებს.) ატომიც ხომ ხაუკურეა ნაკუწებად აქციეს. აი, ყველაზე მცირე, განუყოფელ ნაწილაკამდე რომ მიხვალ, ზუსტად იმას იქით დაინახავ კაცს, რომელიც ზის და მიკროსკოპში იყურება, ის კაცი, კი, რა თქმა უნდა, იქვე შენა ხარ!
მიხაილოვიჩი -- დღეს ნამეტანი პესიმისტურ განწყობილებაზე ხარ!
გიგა -- პესიმისტური, არა! (აღელვებულად.) შენ გაგებაში არა ხარ! ერთხელ უნდა დაფიქრდეს კაცი, რისთვის ცხოვრობს ამ ქვეყანაზე. დაუკვირდი, რა! აბა, დაუკვირდი! აი, თუ ძმა ხარ, დაუკვირდი! დაუკვირდი, რა, კაცი არა ხარ!
რეზო -- კარგი რა, დამღალა შენმა ფილოსოფიამ! ჩანამ მინისტრი ჩვენთვის მოიცლის, ერთი ჭიქაც დავლიოთ.

მიხაილოვიჩი ასხამს.

გიგა -- დალიე, არ დალიე, სულერთია! ტაკიმასხრობაა ყველაფერი!
ნოდარი -- (ნატასთან ერთად მაგიდასთან ბრუნდება. ნატა აღგზნებული და გახარებულია.) უჩუმოდ სვამთ, კაცო?
რეზო -- როგორ გეკადრება, ილიჩ!
ნოდარი -- (გიგას.) ნატა მშვენივრად მიმყავს, ორ-სამ თვეს წაიმუშავებს და თუ კარგად მოიქცევა, რამე მყუდრო ადგილს გამოვუძებნავ. შენ წინააღმდეგი ხომ არ იქნები?
გიგა -- (ნოდარის მეგობრობაზე გაბუზღუნებით აიქნევს ხელს.) დაუკვირდი, თუ ოდნავ ჩემი ხათრი გაქვს, პროსტა (რეზოს.) დაუკვირდი!
რეზო -- მაცალე სადღეგრძელოს თქმა, თუ ძმა ხარ, ჩვენც გვათქმევინე ორი სიტყვა!
ნატა -- რა ენად გაიკრიფა!
გიგა -- სწორია, მაგრა გავაზვერე, მე მას! ვერ გვიგებენ, ილიჩ, ზოგიერთები!

იცინიან.

ნოდარი -- (შოკოლადის ნატეხს აიღებს, ნატას მიუტანს პირთან.) გააღე, ნატა, პირი, ჩემი ხელით უნდა გაჭამო, მდივანი ხარ ბოლოსდაბოლოს! გააღე, გააღე, ნუ გრცხვენია!

ნატა პირს აღებს, ნოდარი შოკოლადს თვითონ შეჭამს და ახარხარდება. დანარჩენებიც იცინიან.

გიგა -- კირაკოზ, მე ბიჭო!

პაუზა.

ნატა -- გიგა!

დანარჩენები ერთდროულად ახმაურდებიან.

რეზო -- დაიდუქრე ბიჭო?!
მიხაილოვიჩი -- მასხარები არ იყოს!
გიგა -- (ნოდარს.) ხომ არ დაგავიწყდა, ვინ იყავი?
ნოდარი -- ასე უცებ რამ დაგართო, ბიჭო?
რეზო -- თუ დალევა არ შეგიძლია, რატომ სვამ?!
გიგა -- კირაკოზ, აბა თქვი, ახვარი ვარ-თქო!
ნოდარი -- მე "ნაგლი" შენა! (გაიწევს, მიხაილოვიჩი გადაეღობება.) ხომ არა გგონია მინისტრად ვარ დანიშნული! [illegible] გაგზავნიდე!
გიგა -- თქვი, ახვარი ვარ-თქო. (დასარტყმელად უახლოვდება, რეზო ხელს უშლის.) შე ახვარო!
ნატა -- გაგიჟდი, გიგა?! ასე როგორ შეიძლება!
რეზო -- გიგა! მთვრალი ხარ! წადი! წადი სახლში!
ნოდარი -- გამიშვით, ერთი, წიხლებით შევყდე!
გიგა -- ეის, შე ახვარო?! (რეზოს ჩამოიცილებს, მიხაილოვიჩი და ნატა ცდილობენ მის შეჩერებას.) დიდი ხანია, [illegible] დაიწყე?!

შემოდის რეზოს მძღოლი და ისიც გიგას გაკავებას ცდილობს.

მძღოლი -- ბატონო, რა ვუყო, მითხარით! ერთი სიტყვა და...
გიგა -- თქვი, ახვარი ვარ-თქო! (ნოდარს.) თქვი! გამოტყდი!

რეზოს მძღოლი გიგას არტყამს, გიგა [illegible] შემოიბრუნებს.

რეზო -- გიგა, გეყოფა! არა ხარ მართალი!
მიხაილოვიჩი -- ბატონო ნოდარ! ნუ აყვებით, მთვრალია!
ნატა -- მთვრალი ხარ, გიგა, გონს მოდი!
ნოდარი -- მაგას ხვალ დაველაპარაკები, წავიდეს ახლა აქედან!
რეზო -- (გიგას.) საქმეს იფუჭებ, შენი უგუნურობით! წადი ახლა, დაიძინე! (გიგა სათითაოდ თვალს მოავლებს.) მარტო შენ კი არა, მეც საქმეს მიფუჭებ!
ნოდარი -- ხვალ დაველაპარაკოთ, ახლა ნამეტანი დიდ გუნებაზე ხარ! წადი სახლში.
გიგა -- (გიგა უეცრად ტორტს აიტაცებს და ნოდარს არტყამს. ნოდარი კრემით შემოსვრილ თავზე ხელებს. მიხაილოვიჩი ფრთხილად მასთან გარბის.) ახვარო!
ნატა -- (გიგას). წადი, წადი! (ხელით უბიძგებს.) წადი, გაეთრიე! სულელი ხარ! ეს რა ჩაიდინე! (გიგა მიდის.) სულელი ხარ.

## სურათი მეცხრე

გიგას ბინა. გიგა დაუძლურებული ზის სავარძელში. შემოდის ნატა. ხანგრძლივი პაუზა.

ნატა -- ეს რა ჩაიდინე, გიგა? ასე გადარევა როგორ შეიძლება?! (გიგა ზანტად გადახედავს, მერე თვალებს ხუჭავს და თითქოს არც უსმენს.) ნოდარს შენთვის ცუდი არაფერი გაუკეთებია, გამოდის რომ [illegible] მეურვეობა მიაყენე. [illegible] გვაბანა!

პაუზა.

გიგა -- მინისტრის მდივანი გაგიმწყდება?
[illegible]

ნატა -- კარგი, რა, გეყოფა! წავალეკ მიდი, ბოდიში მოუხადე! სახლში წევს, ექიმი თავზე ადგას! რაც დაიგვიანებ, მით უარესია! რატომ გააკეთე, ჩემამდე არ დადის! ხმა რო ყოფილიყო მაგის ადგილზე მამინაც ასე მოიქცეოდი! (გი- განთან მივა, დაზიანებულ შუბლს ფრთხილად შეეხება.) გ- როდისმე მოგივიდა?

გიგა -- არ მახსოვს... ღრმა ჭრილობაა? ექიმმა რა თქვა?

ნატა -- საკმაოდ სერიოზულად არი, მაგრამ გადარჩა. ღრმა იქნება, აბა, რა იქნება?!

გიგა -- ბედი სწყალობს, მაგ დამპალს

ნატა -- შენც ბედი გწყალობს, რომ მოუკვდარიყო?

რეკავს ტელეფონი.

გიგა -- მაიმუნეობები, კიდევ რომ რეკავენ! (ყურმილს იღებს.) გისმენთ! (მცირე პაუზა.) გისმენთ!

გოგონას ხმა -- მამა, მამა, ეკა ვარ, არ გამითიშო!

გიგა -- (გაოცებით.) ეკა? ეკა?

გოგონას ხმა -- კი, მე ვარ, მამა, ვერ მიცანი? (იცინის.) ეკა ვარ!

გიგა -- შენა ხარ შვილო?! საიდან რეკავ?

გოგონას ხმა -- საიდან და მოსკოვიდან. ისე მომენატრე, ისე მომენატრე, ვერ წარმოიდგენ! (ისმის კოცნის ხმა.) გაიგე?

გიგა -- რას აკეთებ. (გაიღიმებს.) შე მამაძაღლო?

გოგონას ხმა -- გკოცნი! (ისევ ისმის კოცნის ხმა.) გაიგე? არ ისმის? შენი ხმა ისე კარგად მესმის, თითქოს აქ იყო. იცი, მე გლანდების ოპერაცია გამიკეთე. (თითქოს ნიშნის მოგებით.) სულ არ შემეშინდა! ზურა რომ ყოფილიყო, გასკდებოდა ტირილით! ჩემი რიცა გამიკეთეს, მამინ წამომივიდა ცრემლები! ცოტა წამომივიდა, სულ ცოტა, თავისით, მერე... სულ ეგ იყო, რა! არც შემშინოდა და არაფერი! ექიმმა მითხრა, შენისთანა ყოჩაღი გოგო არც მინახავსო!

გიგა -- გეტკინა?

გოგონას ხმა -- რაა?

გიგა -- გეტკინა? გეტკინა, შვილო? (მცირე პაუზა.) ალო!

გოგონას ხმა -- ცუდად კაბა მიყიდა, გაგიჟდები! ისე მიხდება, ოხ!.. შავი კაბაა თეთრი საყელოთი, ჯიბეებზე თეთრი ფურფულეები აქვს.

გიგა -- (ღიმილით.) რა აქვს?

გოგონას ხმა -- (იცინის.) ფურფულეები! მოიცა რა! მოიცა! მამა, ზურას ყურმილის წართმევა უნდა! მოიცა რა!

გიგა -- გეტკინა, შვილო? ძალიან გეტკინა?

გოგონას ხმა -- მამა, მამა, რატომ არაფერს ამბობ, მამა?!

გიგა -- ალო, ეკა! ეკა! ალო!

ზუმერის ხმა. გიგა ყურმილს დებს.

პაუზა.



ნატა -- გაითიშა? (პაუზა.) (გიგა კარისკენ მიდის) სად მიდიხარ?

გიგა -- მოსკოვში მიხარჩდებულად.

ნატა -- დღეს ნუ მიხვალ, უკვე გვიანია! (გიგა დაჟინებით მიხედავს და სცენიდან გადის.) გიგა, ცუდს კარს არ გაგიღებენ, ტყუილად მიდიხარ! გიგა! გიგა! ტყუილად მიდიხარ! (ნატა ნოდარის 'საავადმყოფო' ნომრის მოძებნის, ყურმილს იღებს და ნომერს აკრეფს.) ალო!

ქალის ხმა -- დიახ!

ნატა -- რეზო ხარ? რეზო, გიგა მანდ წამოვიდა, გაიგე? (პაუზა.) არ გესმის? გიგა მანდ მიდის ახლა!

ქალის ხმა -- ნოდარი გარდაიცვალა.

პაუზა.

ნატა -- (გაოცებით.) რაა? რაა? მოკვდა?.. ნოდარი მოკვდა?

დასასრული